

ქართული

6(19) 2008
ნოემბერი-დეკემბერი

ქართუცი ძარცოთ რნან?
ქართუცი ქართუჯოთ რნმქნან!
ღმქოთიან, ბუდისწერან,
ზღუჯან როთ, იძოღქნან!

გერმანიის ქართული სათვისტომოს ორგანო

ნომარი:

საზივდღვეხელ დეხი	3
ღასზმიხს საჯიოხებში საქაოთვედრს სახედნეოთ მიწისუხის მოღოყვა	4
ზოღიუიუი მიმონიღვა	5-9
წინ მახადონობას! ინუეიფიო მოახ ქიღადქბოან	10-14
ქაოთვედი მხედაოთმოთაქიგბი აზონი და ფაინავაზი	14-17
ედიგბეფო სიუვიღბ ქიხსეხსოვი	17-19
Fastenzeit in der Orthodoxen Kirche	19-21
გეიმანოა - მიგომბეგბის ქვეყანა	21-24
ინ, ხაყ მზოღოღ საქაოთვედრში სეგბა	25-27
ღუქიში ფიომბანის გამოფენისას, წახაყ „აქსიხას მახაოიუასოან“ უოვედღე მიღოღას სანმიმეხუდი ქადი...	27-28
თვადები გარეხ სევიხფეიი და...	28-29
სხვადახხვა	30

ს ა მ შ ო ბ ლ ო ვ შ ე ნ ი მ ე კ ვ ლ ე ვ ა რ !

ჩემო სამშობლოვ, შენი მეკვლე ვარ!

ჩემო სამშობლოვ, შენი მეკვლე ვარ,
- შემოვდგი ფეხი, ვარ მომლოცველი,
თვითეულ მოძმის გადამკოცნელი!..
ხალხო ქართველო, შენ გაიხარე,
ბედნიერების ვარ მომლოცველი!

ყოველი შენი ბუჩქი და ტოტი
მენახოს მზეში დამარჯნებული,
შენი მარჯვენა მინდვრად, დაზგასთან,
იყოს მარადის გამარჯვებული!

ხალხო, გიმრავლოს კერის აკვნები,
ხალხო, აივსე მიწის ბარაქით!
სულ მჩქეფარებდნენ დაუშრობელად
შენი რიონი, მტკვარი, არაგვი!

სამშობლოვ, შენი კერის მეკვლე ვარ,
შენი ლამაზი მიწის მკოცნელი,
ათას ჩანგსა და ათას სიმებზე
ამოგაჟღერო მინდა ოცნებით,

მაგრამ სიტყვები ვერ მიპოვნია,
ჰანგი, შენდამი ტრფობის მტყორცნელი!
ყოველდღე ჩემთვის ბედნიერების
და სიხარულის ხარ მომლოცველი!

გიორგი ლეონიძე



დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი
STATE MINISTER OF GEORGIA ON DIASPORA ISSUES

№ 01/694

29 12 2008 წ.

ძვირფასო თანამემამულენო,

საქართველოს შეიღებო, რომლებსაც სამშობლოს გარეთ გიწევთ ცხოვრება!

გილოცავთ დამდეგ შობას და ახალ წელს, გისურვებთ ჯანმრთელობას, წარმატებებს, ბედნიერებას. უფალმა ინებოს, რომ მომავალი, 2009 წელი მშვიდობისა და ეკონომიკური აღმავლობის წელი ყოფილიყოს ჩვენი სამშობლოსათვის, გადატანილი ომისა და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის მიუხედავად.

თქვენ, საქართველოს დიასპორის წარმომადგენლებმა, რომლებმაც, გასულ უმძიმეს წლებში ფაქტობრივად შიმშილისაგან იხსენით ქვეყანა, ახლა დაამტკიცეთ, რომ უკვე ანგარიშგასაწევი პოლიტიკური ძალა ხართ. ძალა, რომელმაც შესძო და კვლავაც შესძლებს საქართველოს ინტერესების დაცვას მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში, სადაც, თუნდაც, ერთი ჩვენი თანამემამულე ცხოვრობს!

დღეს თქვენ საქართველოს იმედი ხართ. დაე, მალე გვენახოს საქართველო ძლიერი და აყვავებული, ისეთი სადაც ნებისმიერი თქვენგანი სიხარულით დაბრუნდება.

ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.

თქვენი იულონ გაგოშიძე.

პოლიტიკა

2008 და გარეთ

ომმა და მისი შედეგების მოშუშებამ ქართულ პოლიტიკას თავისი კვალი დაატყო. პარლამენტისთვის დღის წესრიგში აგვისტოს მოვლენების შესწავლისა და გამოკვლევის საკითხი დადგა. ეს ამბავი 200 გვერდიანი დასკვნითა და “მცირეოდენი” სკანდალით დასრულდა, რომელსაც ქვემოთ ვრცლად შევხებით. პარალელურად, დახუსტდა ომის შედეგად გარდაცვლილი მოქალაქეების რაოდენობა. თუმცა ჯერ ისევ პრობლემად რჩება დაზარალებულთა საცხოვრებელი და საყოფაცხოვრებო პირობებით უზრუნველყოფა.

რაც შეეხება საგარეო პოლიტიკას, ყველაზე დიდი იმედები ჟენევის მოლაპარაკებებზე მყარდებოდა, მაგრამ შედეგი, რაც ამ პროცესმა მოიტანა, ოპტიმისტური განწყობის შესაქმნელად საკმარისი არ აღმოჩნდა.

შინაურ პოლიტიკაში კვლავ დღის წესრიგში დგას ოპოზიციის არასაკმარისობის საკითხი, როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივობისა და ხარისხის თვალსაზრისით. ამჟამად ყველა მოლოდინით შესცქერის ახალი სახის, ახალი გმირის გამოჩენასა და განცხადებებს.

აგვისტოს შედეგები

დახუსტებული ინფორმაციით, აგვისტოს მოვლენების შედეგად გორსა და გორის რაიონში 93 მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა მათ შორის 30 - გორში, 63 - რაიონში. აქედან 75 ადამიანი დაბომბვის შედეგად გარდაიცვალა, 18 კი ოსმა სეპარატისტებმა მოკლეს. დაღუპულთაგან 2 მცირეწლოვანია, 28 - ქალი, მათ შორის ერთი ფეხმძიმე; გარდაცვლილთაგან ყველაზე ასაკოვანი 93 წლის მამაკაცი ოსმა სეპარატისტებმა ლოგინში მწოლიარე დაწვეს. ეს 12 აგვისტოს, გორის რაიონის სოფელ ტირმინისში მოხდა. ლოგინად ჩაგარდნილმა მამაკაცმა სახლის დატოვება ფიზიკურად ვერ შეძლო. სეპარატისტებს აუღმყოფი ადამიანის მდგომარეობისთვის ანგარიში არ გაუწევიათ, სახლს ცეცხლი წაუკიდეს.

ცოტა ხნის წინ პრეზიდენტმა განაცხადა, რომ უმჯობესია აღარ გამოვიყენოთ ტერმინი “აგვისტოს მოვლენები” და მის ნაცვლად ითქვას ომი რუსეთ-საქართველოს შორის. აგვისტოს მოვლენების შესწავლაზედროებითმა საპარლამენტო კომისიამ ორი თვის მანძილზე იმუშავა და 200 გვერდიანი დასკვნა

წარმოადგინა, რომლის მიხედვით, საქართველოში რუსეთის მხრიდან კარგად მომზადებული და დაგეგმილი ინტერვენცია განხორციელდა.

რაც შეეხება დასკვნის შინაარსს, კომისიის თავმჯდომარის, პარლამენტარის, პაატა დავითაიას განცხადებით, მათ მიერ წარმოდგენილი ანგარიში მოიცავს საომარი მოქმედებების დაწყებამდე მიმდინარე პროცესებისა და ვითარების ვრცელ ანალიზს. კერძოდ, დასკვნაში ასახულია დეტალური ინფორმაცია საქართველოს სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ და სამხედრო დაპირისპირების ესკალაციისაკენ მიმართული ქმედებების შესახებ 2008 წლამდე. გარდა ამისა, დასკვნაში წარმოდგენილია რუსეთის ქმედებების სამართლებრივი შეფასებაც.

კომისიის დასკვნის მნიშვნელოვან ნაწილს საქართველოს ხელისუფლების მოქმედების ანალიზი ომის დროს და გამოვლენილი ხარვეზები წარმოადგენს. დროებითი საპარლამენტო კომისიის დასკვნიდან ჩანს, რომ საქართველოში რუსეთის მხრიდან კარგად მომზადებული და დაგეგმილი ინტერვენცია განხორციელდა, თუმცა კომისიამ ასევე გამოავლინა საქართველოს ხელისუფლებაში, ეროვნული უშიშროების პოლიტიკის წარმოებასა და მართვაში და ასევე სამხედრო მენეჯმენტში არსებული მნიშვნელოვანი ჩავარდნები. დასკვნიდან ირკვევა, რომ მიუხედავად მყარი სადაზვერუო მონაცემებისა, საქართველოს ხელისუფლება არ ელოდა და არ იყო მზად ისეთი მასშტაბის აგრესიისათვის, რომელიც 2008 წლის აგვისტოში განხორციელდა.

კომისიის რეკომენდაციით, უშიშროების საბჭოს მიერ გადახედილ უნდა იქნას ქვეყნის უსაფრთხოების კონცეფცია, არსებული რისკების ადეკვატურად გათვალისწინების მიზნით; უშიშროების საბჭოს მიერ უნდა შემუშავდეს საფრთხეებისადრეული შეტყობინების ადეკვატური სისტემა; უშიშროების საბჭოს და მთავრობის მიერ უნდა ჩამოყალიბდეს და შეჯერდეს კრიზისების მართვის ერთიანი ცენტრის კონცეფცია; უშიშროების საბჭოს, მთავრობისა და შესაბამისი ცალკეული სამინისტროების მიერ უნდა შემუშავდეს კრიზისის დროს კომუნიკაციის ადეკვატური სტრატეგიები; უშიშროების საბჭოსა და მთავრობის მიერ უნდა გადაიხედოს სამოქალაქო თავდაცვის კონცეფცია და შემუშავდეს საფრთხეების ადეკვატური სამოქალაქო თავდაცვის გეგმები; ასევე ძირეულად უნდა გადაიხედოს რეზერვისტთა

მომზადებისა და მობილიზაციის სისტემები; თავდაცვის სამინისტრომ უნდა ჩაატაროს ადეკვატური ღონისძიებები კავშირგაბმულობის სისტემების გამართული ფუნქციონირებისათვის; საქართველოს მთავრობამ უნდა გაატაროს ყველა შესაძლო ღონისძიება საპაერო თავდაცვის დანაკლისის შესავსებად, შედეგები კი რეგულარულად მოხსენდეს პარლამენტის ნდობის ჯგუფს; უნდა შექმნადეს კრიზისების დროს საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენელთათვის მოქმედების ინსტრუქცია; განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს დიპლომატიურ სამსახურში კვალიფიციური ადამიანური რესურსების მოზიდვის და მათი განვითარების საკითხს.

პარლამენტის დროებითმა კომისიამ შეიმუშავა ხუთი რეკომენდაცია, რომელსაც პროკურატურას გადასცემს შესასწავლად. მათ შორისაა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მალხაზ აქიშბაიას საქმე. კომისიის დასკვნის თანახმად, აგრესიის პერიოდში აფხაზეთის ლეგიტიმური სტრუქტურების ხელმძღვანელობა არაადეკვატურად მოქმედებდა, რაც იმაში გამოიხატება, რომ კონფლიქტის დროს მთელი დატვირთვა შსს-ზე მოვიდა. დასკვნაში ნათქვამია, რომ კოდორის ხეობიდან მოსახლეობის და პოლიციური ქვედანაყოფების ევაკუაციასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება ერთპიროვნულად უწევდა შსს მინისტრ ვანო მერაბიშვილს, ხოლო აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის ხელმძღვანელმა მალხაზ აქიშბაიამ საერთოდ ვერ მოახერხა ზემო აფხაზეთში, კოდორის ხეობაში მოხვედრა, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ, თემურ მჭავიამ, კი 9 აგვისტოს დატოვა კოდორის ხეობა.

გენერალურ პროკურატურას ასევე მოუწევს საეჭვო ინფორმაციაზე ენერგეტიკის სამინისტროს რეაგირებით დაინტერესება. დასკვნის თანახმად, საგარეო დაზვერვის ხელმძღვანელმა გელა ბეჟუაშვილმა კომისიას მოახსენა, რომ პოსტსაომარ პერიოდში მის ხელთ აღმოჩნდა მნიშვნელოვანი ინფორმაცია ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების თვალსაზრისით და მან ეს ინფორმაცია ეკონომიკის მინისტრს მიაწოდა. მოგვიანებით ბეჟუაშვილმა დააკორექტირა ინფორმაცია და მის მიმღებელ ენერგეტიკის მინისტრი დაასახელა.

ხარვეზებია ასევე კადრების არჩევის მხრივ, რაც განსაკუთრებით ელჩების დანიშვნას ეხება, - ნათქვამია კომისიის დასკვნაში. გარდა ამისა, კანონმდებლობა არ ითვალისწინებს, მითითებებს მათთვის ექსტრემალურ პირობებში მოქმედებისთვის. საქართველოს გენპროკურატურას რუსეთის ფედერაციაში საქართველოს ყოფილი ელჩის, ეროსი კიწმარიშვილის საქმის შესწავლაც მოუწევს.

დავითიამ რეზერვისტების სისტემის ნაკლზეც ისაუბრა და მასაც “არაადეკვატური ყველა ღონეზე” უწოდა. რიგით მეხუთე, პროკურატურის მიერ შესასწავლი საკითხი თავდაცვის სამინისტროს ევაკუაციას უკავშირდება.

საპარლამენტო კომისია გენერალ ყურაშვილის ცნობილ განცხადებას თავდაცვის სამინისტროს კომუნიკაციური სტრატეგიის არასაკმარის მზაობას უკავშირებს. დასკვნაში ნათქვამია, რომ საომარი მოქმედებების პირველ საათებში თავდაცვის სამინისტროს კომუნიკაციური სტრატეგიის თვალსაზრისით არასაკმარისი მზაობისა და ინფორმაციის გაცემის კოორდინაციის არ ქონის მიზეზით, გენერალ მაძუკა ყურაშვილის მიერ გაკეთებული შეუთანხმებელი განცხადება ე.წ. “კონსტიტუციური წესრიგის დამყარებასთან დაკავშირებით” მომავალში გამოიყენეს საქართველოს საწინააღმდეგო პროპაგანდისტულ კამპანიაში. „თუმცა ბატონი ყურაშვილი კომისიისთვის მიცემულ განმარტებაში ამ ფაქტს აცნობიერებს და ხსნის მნიშვნელოვანი ფიზიკური და ძლიერი ფსიქოლოგიური ტრავმით“, - ნათქვამია დასკვნაში. კომისიამ დაკითხა 22 მაღალჩინოსანი, მათ შორის საქართველოს პრეზიდენტიც.

აგვისტოს მოვლენების შემსწავლელი დროებითი საპარლამენტო კომისიის დასკვნით, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების ყველა მაღალი რანგის თანამდებობის პირს, აგვისტოს მოვლენებისას პრეზიდენტისა და პრემიერის საგანგებო დაუალებების გარეშე, ქვეყანა არ დაუტოვებია.

თუმცა მანამდე, ამ საკითხზე განსხვავებული ინფორმაცია გაავრცელა საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ყოფილმა უფროსმა, ბადრი ბიწაძემ, ექს-პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძის მეუღლემ (ამჟამად იგი ოპოზიციური პარტიის ლიდერია). მისი თქმით, მას გააჩნია დოკუმენტაცია, რომელიც მაღალჩინოსანთა მიერ ომის დროს საზღვრის გადალახვის, ანუ “ქვეყნიდან გაქცევის” ფაქტებს ადასტურებდა.

კომისიის მუშაობისას სკანდალი მოჰყვა რუსეთის ფედერაციაში საქართველოს ყოფილი ელჩის, ეროსი კიწმარიშვილის დაკითხვას. სხვათა შორის, მან თავად მოითხოვა ამ პროცედურაში მონაწილეობის მიღება ოფიციალურად. სხდომა, ფაქტიურად, ჩაიშალა. ერთ-ერთმა წევრმა, პარლამენტარმა გივი თარგამაძემ კიწმარიშვილს საწერი კალამი ესროლა, რის შემდეგაც ამ უკანასკნელმა სხდომა დატოვა. მეორე დღეს ყოფილი ელჩი დიპლომატიური კორპუსისა და მედიის წარმომადგენლებს სახალხო დამცველის ოფისში შეხვდა.

კიწმარიშვილმა განაცხადა, რომ

საპარლამენტო კომიტეტის სხდომაზე მას სათქმელის ამოწურვის საშუალება კომისიის წევრებმა არ მისცეს, ამიტომ, იგი სიამოვნებით დათანხმდა გაერთიანებული ოპოზიციის წევრების შეთავაზებას შეხვედრის გამართვის შესახებ. ეროსი კიწმარიშვილმა ცალსახად და რამდენჯერმე გაიმეორა, რომ აკვისტოში ომი საქართველოს ხელისუფლებამ დაიწყო. მან საპარლამენტო კომისიის არა მხოლოდ სინამდვილის გარკვევით დაუინტერესებლობას გაუსვა ხაზი, არამედ სახელწოდებაც ტენდენციურად მიიჩნია. “კომისიას ჰქვია არა აკვისტოს მოვლენების შემსწავლელი კომისია, არამედ საქართველოს მიმართ რუსული აგრესიის შემსწავლელი და მიზეზების დამდგენი კომისია,”- განაცხადა კიწმარიშვილმა. იგი ამბობს, რომ საქართველოს ხელისუფლება ომისთვის რამდენიმე მიმართულებით ემზადებოდა და ამასთან დასძენს, რომ საბრძოლო მოქმედებებისთვის რუსეთი იყო სრულიად მზად და ამავდროულად იგი აზღვრდა საქართველოს პროვოცირებას. “ძალიან მაინტერესებს ამ საკითხზე ირაკლი ალასანიასა და გრიგოლ ვაშაძის პოზიცია. ჩვენ ყოველთვის ვიყავით ერთ აზრზე, ანტი-საომარ პოზიციებზე. ჩემი მხრიდან გრიგოლ ვაშაძეს ისიც კი შევთავაზე, რომ თუ ჩვენს მშვიდობიან პოზიციებს არ გაითვალისწინებდნენ, მოგვეხდინა ერთობლივი დემარში, გადავმდგარიყავით პროტესტის ნიშნად. ვიცი ისიც, რომ ვაშაძემ რამდენიმე განცხადება დაწერა თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ, თუმცა ის არ დააკმაყოფილეს,”- განაცხადა კიწმარიშვილმა.

მოლაპარაკებები ჟენევაში

აფხაზურმა მხარემ ზუსტად ჟენევის მოლაპარაკებების მესამე რაუნდის წინ გამოთქვა ინიციატივა, ჭუბურხინჯში მოლაპარაკებების გაგრძელების შესახებ. ამ წინადადებას ქართული მხარე დიდი ენთუზიაზმით არ მიგებებია. სერგეი შამბამ, არაღიარებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ეს იდეა მას შემდეგ გაახმოვანა, რაც გაეროს გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელს, იოჰან ვერბეკეს შეხვდა.

ჭუბურხინჯის მოლაპარაკებების ფორმატთან დაკავშირებით გამოთქმულ ინიციატივაზე ქართული მხარის რეაქცია თავშეკავებული გახლდათ. მიიჩნევენ, რომ ეს იგივეა, რაც “უკან დაბრუნება და არა ნაბიჯი წინ”. ჭუბურხინჯის ოთხმხრივი შეხვედრის აღდგენას ქართული მხარე რომ არ დათანხმდება, - ამის შესახებ რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა თემურ იაკობაშვილმაც განაცხადა. „ჭუბურხინჯში იყო რუსი სამშვიდობოების ბაზა, ამ ფორმატის აღდგენა ნიშნავს, რომ ჩვენ უნდა დავთანხმდეთ რუსების, როგორც სამშვიდობოების

როლის აღიარებას. ჩვენ კი ამის წინააღმდეგი ვართ. ქართულ მხარეს, ჭუბურხინჯის შეხვედრების აღდგენის ნაცვლად, ადმინისტრაციულ საზღვრებზე უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებული წინადადებები აქვთ. ჩვენ მიგვაჩნია, რომ საზღვრებზე პროვოკაციები სწორედ იმიტომ ხორციელდება, რომ რუსულმა მხარემ ბუფერული ზონების შემოღებას და გაფართოებას მიაღწიოს,”- განაცხადა იაკობაშვილმა.

ჭუბურხინჯში ოთხმხრივი შეხვედრების გაგრძელებას იმ ფორმატით, როგორც ეს ადრე იყო, სრულებით წარმოუდგენლად მიიჩნევა შოთა მალაშიაც – ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პარლამენტის დროებითი კომისიის წარმომადგენელი. „ჯერ უნდა ვთქვათ, რა იყო ეს მოლაპარაკებები. ერთ მაგიდასთან ისხდნენ რუსეთი, ქართული, აფხაზური მხარე და გაერო. რუსეთი ვინაა ამ სიტუაციაში? კონფლიქტის მონაწილე მხარე. გაეროს წესდება ცალსახად კრძალავს კონფლიქტის მონაწილე მხარის შუამდგომლობას მსგავს მოლაპარაკებებში. გარდა ამისა, გაცილებით ქმედითაა მოლაპარაკებების ფორმატი ჟენევაში. იქ წარმოდგენილია ყველა ქმედითი და მსოფლიოში აღიარებული, ავტორიტეტული ორგანიზაცია, ნატოს გამოკლებით. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სამართლებრივადაც კი არ შეიძლება მსგავსი წინადადების შემოთავაზება, რადგან ის გულისხმობს რუსეთის მონაწილეობას კონფლიქტის მოგვარების შესახებ წარმოებულ მოლაპარაკებებში. ეს იგივეა, კონფლიქტის მოგვარება შესთავაზო მისი გაღვივების ინიციატორს, რაც აბსურდულია,”- ამბობს შოთა მალაშიაც.

ოთხმხრივი შეხვედრები ჭუბურხინჯში 2006 წლის ნოემბერში შეწყდა.

ქართული მხარე გაცილებით ეფექტური შედეგის მიღწევას ჟენევის მოლაპარაკებებზე იმედოვნებდა, თუმცა ეს იმედი იმედად დარჩა. ორდღიანმა შეხვედრამ 17-18 დეკემბერს მნიშვნელოვანი შედეგების გარეშე ჩაიარა.

მოლაპარაკებების ფორმატი ასეთი გახლდათ: ეუთო, ევროკავშირი, გაერო, აშშ, რუსეთი, რომლის დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ ე.წ. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის არაღიარებული რესპუბლიკების წარმომადგენლები და საქართველო.

მოლაპარაკებებზე დიდი იმედები მყარდებოდა. აშშ-ს სახელმწიფო მდივნის თანაშემწე მეთიუ ბრაიზაც კი თბილისში საგანგებოდ ჟენევის მოლაპარაკებების წინ ჩამოფრინდა.

მოლაპარაკებებმა თებერვლისთვის გადაიწია. მანამდე დიად დარჩა წინადადებები უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და საოკუპაციო ჯარების გაყვანის

შესახებ.

მორიგი რუსული შეტევა

საერთაშორისო ასპარეზზე რუსეთმა იმას მიაღწია, რომ ეუთოს მისიის გაგრძელებას საქართველოში ვეტო დაადო. რუსეთმა, როგორც ეუთოს წევრმა ქვეყანამ მოითხოვა „მანდატი სამხრეთ ოსეთში ყოფილიყო მისი სტატუსის შესაბამისი“. რუსეთისთვის ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი, სტატუსის მიხედვით უკვე სუვერენული, მის მიერ დე-იურედ აღიარებულ სახელმწიფოებად აღიქმება.

ეუთოს ოფისის დახურვა ოფიციალურად 1 იანვრიდან დაიწყო. მხოლოდ გორის რაიონის სოფელ კარალეთში რჩება 20 დამკვირვებელი 19 თებერვლამდე. ის 8 დამკვირვებელი კი, რომელთაც წესით მონიტორინგი ცხინვალში უნდა ეწარმოებინათ და რომლებსაც იქ შესვლის უფლებას ისედაც არ აძლევდნენ რუსული შეიარაღებული ძალების წარმომადგენლები, დაითხოვეს. რაც შეეხება აფხაზეთს, ეუთოს მისია, როგორც ასეთი წარმოდგენილი არ ყოფილა.

იგივეს გათამაშების მცდელობაა რუსეთის მხრიდან გაეროს შემთხვევაშიც. საქართველოში მიიჩნევენ, რომ საეხებით მოსალოდნელია რუსეთმა ვეტოს დადება საქართველოში გაეროს მისიის მანდატზეც მოითხოვოს. ვიტალი ჩურკინმა, რუსეთის წარმომადგენელმა გაეროში, განაცხადა, რომ მისიის დახურვას მოითხოვს რუსეთი იმ შემთხვევაში, თუ შენევის მოლაპარაკებებზე რაიმე შედეგი არ იქნება მიღწეული. ექსპერტები განმარტავენ, რომ ასეთი რამ ვერ მოხდება იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ შენევის მოლაპარაკებებს ქრონოლოგიურად, წინ უსწრებს გაეროს სხდომა. რუსეთი კი მაინც დაჟინებით ითხოვს მოქმედებებს „ახალი რეალიების შესაბამისად“.

აშშ-ს მორიგი ინიციატივა

ცოტა ხნის წინ ცნობილი გახდა აშშ-ს საქართველოს შორის ფართომასშტაბიანი მოლაპარაკებების მიმდინარეობის შესახებ. ხელშეკრულებაზე ხელი ჯერ არც ერთ მხარეს არ მოუწერია და ამ ეტაპზე არ ხმაურდება არც მისი ზედმიწევნითი შინაარსი. ცნობილია მხოლოდ ის, რომ თანამშრომლობა ოთხ სფეროს მოიცავს: უსაფრთხოებას, უშიშროებას, დემოკრატიის გაძლიერებასა და კულტურული ურთიერთობების გაღრმავებას. საუბრობენ იმის შესახებაც, რომ ეს დოკუმენტი იქნება მსგავსი იმისა, რაც აშშ-მ დეკემბერში უკრაინასთან გააფორმა.

საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლება განმარტავს, რომ აშშ-სთან ჩარჩო ხელშეკრულების გამოფრმება საქართველოსთვის

უსაფრთხოების ერთგვარი გარანტიც იქნება, რადგან მისი გაფორმების შემდეგ, საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული ნებისმიერი ქმედება აღქმული იქნება, როგორც აშშ-ს სტრატეგიული პარტნიორი ქვეყნის წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯი. ამ მდგომარეობას ხაზი სახელმწიფო მდივანმა თემურ იაკობაშვილმაც გაუსვა და აღნიშნა: „მგონი ყველას ესმის, რომ ამერიკის სტრატეგიული პარტნიორის წინააღმდეგ განხორციელებული ნებისმიერი ქმედება პოლიტიკურად სხვაგვარად აღიქმება, ვიდრე ჩვეულებრივ შემთხვევაში“.

მდგომარეობა კონფლიქტის ზონებში

ამ ფონზე კი კონფლიქტის ზონებში ადამიანის უფლებები მასობრივად და ყოველდღიურად ირღვევა.

ცხინვალში უგაზობას და უწყობას ჩივიან, ახალგორიდან და პერევიდან ადამიანები გამორბიან, აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში ზედიზედ აქვს ადგილი ადამიანთა გატაცებებსა და მკვლელობას. იქაურებისთვის ცხოვრება დღემდე დისკრიმინაციულ გარემოში გრძელდება. დაუსჯელობის ხიბლით წაქეზებული ბანდფორმირებები დანაშაულს თითქმის ყოველდღიურად ჩადიან.

ახალგორის რაიონის სოფელ ყანჩავეთში ოსმა სეპარატიზტებმა მწყემსი ნოდარ ტატუნაშვილი ცემით მოკლეს. ინციდენტი ცხვრის გამო მოხდა. როგორც ახალგორის რაიონის გამგებელმა ზურაბ ფიცხელაურმა განაცხადა, ჯარისკაცებმა ნოდარ ტატუნაშვილისთვის ცხვრის წართმევა მოინდომეს. ტატუნაშვილმა წინააღმდეგობა გაუწია და კაცი ცემით მოკლეს. ევროკავშირის დამკვირვებლები ოკუპანტების ბლოკ-პოსტზე თითქმის ყოველდღე მიდიან და ვითარებას ამოწმებენ, თუმცა სოფელში შესვლის საშუალებას რუსები არ აძლევენ.

ოსურ სოფელ ქსუისში გაურკვეველ ვითარებაში სოფლის მკვიდრი ქართველი რამაზ შოშიტაშვილი მოკლეს. მას თავში ნაჯახი ჰქონდა ჩარტყმული. ინციდენტის შემდეგ, ცხინვალის დე-ფაქტო პროკურატურის თანამშრომლებმა ვითარების გარკვევა სცადეს და ქართული საგუშაგოს გადაკვეთა დააპირეს. ქართველმა სამართალდამცავებმა პოსტზე მათი შეჩერების ბრძანება გასცეს. თუმცა ისინი ქართველების გაფრთხილებას არ დაემორჩილენ და ცეცხლი გაუხსნეს. ქართველი სამართალდამცველების მხრიდან ამას საპასუხო რეაქცია მოჰყვა.

შინაური ამბავი

ქართულ პოლიტიკაში აქტიურდება ოპოზიციის სიძლიერის, ქმედითობის, ზოგადად,

მისი რეალურად არსებობის საკითხი. ყველა დიდი ინტერესით და იმედით ელის მორიგი გმირის გამოჩენას. წინასწარ მის სახელსა და გვარსაც ასახელებენ. მოკლედ, საქმე ეხება ირაკლი ალასანიას, გაეროში საქართველოს ყოფილი ელჩის გამოჩენას ქართულ პოლიტიკაში. მას, როგორც აქამდე შეუბღალავი რეპუტაციის ადამიანს, ყველა ოპოზიციური პარტია ხელგაშლით მიიღებს.

განსაკუთრებული მითქმა-მოთქმა მისმა ქმედებამ გამოიწვია, რომელიც საკუთარი ინიციატივით გაეროს ელჩის თანამდებობის დატოვებას უკავშირდება.

ამ მოვლენიდან რამდენიმე დღის შემდეგ ირაკლი ალასანიამ კონფლიქტების მოგვარების საკუთარი გეგმა აშშ-ში გამართულ ბიზნეს-საბჭოზე სიტყვით გამოსვლისას წარმოადგინა. მისი მესიჯი ასეთი გახლდათ: “აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის კონფლიქტები მხოლოდ მოლაპარაკებების გზით უნდა მოგვარდეს“. რაც შეეხება რუსეთთან მოლაპარაკებების აღდგენას, ალასანიას აზრით, მანამდე აუცილებელია რუსული მხარის მიერ მიღწეული შეთანხმებების სრულად შესრულება და რუსეთის საჯარისო შენაერთების 7 აგვისტომდე არსებულ პოზიციებზე დაბრუნება. ალასანიას გეგმა რუსეთთან, აფხაზეთთან და ოსებთან პირდაპირი დიალოგის აღდგენას გულისხმობს. მისივე განცხადებით, საქართველოს მთავარი პრობლემა უსაფრთხოებისა და გადაწყვეტილებების მიღების სისტემის არ არსებობაა, რაც აგვისტოს მოვლენებამაც დაადასტურა. “საქართველოს ხელისუფლებამ ახალი სამხედრო, ეკონომიკური და ენერგეტიკული უსაფრთხოების სტრატეგია უნდა შეიმუშაოს. ტერიტორიული კონფლიქტები მშვიდობიანი გზით უნდა მოგვარდეს და მხარეებს შორის დიალოგი უნდა აღდგეს. ამასთანავე, ოფიციალურმა თბილისმა რუსეთთან მოლაპარაკებები მაშინ უნდა დაიწყო, როდესაც მოსკოვი სრულად შეასრულებს ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულებას, მისი ჯარები 7 აგვისტომდე არსებულ პოზიციებს დაუბრუნდებიან და კონფლიქტის ზონებში უცხოელი დამკვირვებლები განლაგდებიან,”- მიიჩნევს ალასანია.

მან შეხვედრაზე იმის შესახებაც ისაუბრა, რომ საქართველო დღემდე დემოკრატიის დეფიციტს განიცდის და რომ არა დასავლეთის ქმედითი ღონისძიებები, ამ მხრივ წინსვლა არ იქნება.

გარდა ალასანიას გამოჩენისა, ქართულ შინაურ პოლიტიკაში სხვა ძვრებიც მოხდა. გაერთიანების სურვილის შესახებ განაცხადეს “რესპუბლიკური” პარტიისა და “ახალი მემარჯვენეების” მესვეურებმა, ხელისუფლებიდან ოპოზიციამ გადამარგდა ხელისუფლების ერთ-ერთი “სახე” პეტრე მამრამაც. ოპოზიციურ რიგებს შორის

საკუთარი ნიშის დამკვიდრებას ცდილობენ ყოფილი პრემიერ მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი და ყოფილი პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძეც.

ზოგიერთი ოპოზიციონერის მიერ ნეიტრალიტეტის იდეამაც კი ამოიწია. პატენტი ამაზე „ქართული პოლიტიკის“ ლიდერ გოჩა ფიფიას ეკუთვნის. თუმცა მას ეს წამოწყება დაუწუნეს და მიანიშნეს, რომ ნეიტრალიტეტი საქართველოს რუსეთისგან ვერ დაიცავს, ისევე როგორც ვერ დაიცვა ნეიტრალიტეტმა ფინეთი საბჭოთა კავშირის ოკუპაციისგან და ლაოსი ჩინეთისგან.

ერაყის მისია დასრულდა

საქართველოს თავდაცვის უწყება ოფიციალურად ადასტურებს ინფორმაციას ერაყიდან საქართველოს შეიარაღებული ძალების გაყვანის შესახებ. სამხედროები, რომლებიც საქართველოს შეიარაღებული ძალების პირველ ქვეით ბრიგადას აკომპლექტებდნენ კუვეიტიდან ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო თვითმფრინავით გამოფრინდნენ. ამავდროულად ჩამოიტანეს საქართველოში მათი პირადი ნივთები და საკომუნიკაციო აპარატურა. ბრიგადის დაბრუნებული 28 სამხედრო მოსამსახურე ერაყში, უზრუნველყოფის ოცეულში ტვირთის აღრიცხვასა და ტრანსპორტირების მომზადებაზე მუშაობდა. “ამ ეტაპზე საქართველოს სამხედროები ერაყში აღარ იმყოფებიან. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი მისია ამ დროისთვის დასრულებულია,”- განაცხადა ნანა ინწკირველმა, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა.

2008 წლის აგვისტოში შეიარაღებული ძალების პირველი ქვეითი ბრიგადა, დაახლოებით 2 ათასი კაცის შემადგენლობით ერაყში იმყოფებოდა და სამშვიდობო მისიას ასრულებდა. საქართველოში ომის დაწყებისთანავე ძირითადი ნაწილები, დაახლოებით 800 ჯარისკაცი ერაყიდან სასწრაფო წესით გამოიყვანეს.

საქართველოს შეიარაღებული ძალების ნაწილები ერაყში კოალიციური ჯარების შემადგენლობაში იმყოფებოდნენ და სამხედრო მისიას 2003 წლიდან ასრულებდნენ. ამ დროიდან წლებადღელ ზაფხულამდე სამხედროების რიცხვი ორჯერ გაიზარდა და 2000 ადამიანს მიაღწია. ძალების დისლოკაციის ადგილი ერაყის აღმოსავლეთით, ალ-კუტის სამხედრო ბაზაზე იყო. რაოდენობის მიხედვით, საქართველოს წარმომადგენლობა კოალიციურ ძალებში რიგით მესამე ადგილზე იდგა. 2003 წლის აგვისტოდან ქართული ძალების ერაყში განთავსების შემდეგ სულ 21 ქართველი სამხედრო დაშავდა ან გარდაიცვალა.

ნინო დალაქიშვილი

წინ მაჩადისობა!

ინტერვიუ ოთარ ჭილაძესთან

ჩვენი მწერლობის კლასიკოსი - ოთარ ჭილაძე მასმედიის უიშვიათესი სტუმარია. ამიტომაც დიდი იყო მოლოდინი დროშიცა და სულშიც... გთავაზობთ ექსკლუზიურ ინტერვიუს, სადაც შეიტყობთ, რას ფიქრობს ბატონი ოთარი საქართველოს დღევანდელ მდგომარეობასა და მომავალზე. სიმართლე მწარეა, მაგრამ აუცილებელი...

- ბატონო ოთარ, საუბრისას არაერთხელ გიხსენებიათ შიში მომავლის გამო, ობიექტური რეალობა ასაზრდოვებდა ამ შიშს, მაგრამ მაინც გვექონდა უკეთესის მოლოდინიც... დღეს თუ გაქვთ უკეთესის მოლოდინი? შიში გამართლდა? მგონი, მაშინ, ნოემბრის დღეებში ამ კითხვებზე პასუხი ჩანდა თქვენს სიტყვებში, მაგრამ მას მერე დიდი დრო გავიდა. იქნებ პასუხიც შეიცვალა?

- მართალი ბრძანდებით, შიში გამართლდა. თუმცა, უკეთესის მოლოდინი მაინც შემრჩა. მომავლის შიშიც და უკეთესის მოლოდინიც უადრესადადამიანური გრძნობაა, მე ვიტყვოდი, აუცილებელი თვისებაა სიცოცხლისა და ვიდრე ადამიანი ცოცხალია, არც მომავლის შიში გაუნელდება, არც უკეთესის მოლოდინი, მით უფრო დღევანდელ მსოფლიოში და მით უფრო ჩვენს დღეში მყოფს. მომავლის შიშს თავად მომავლის გაურკვეველობა აჩენს, ხოლო, უკეთესის მოლოდინს ჩვენი თანდასწრებითა თუ ჩვენი თანამონაწილეობით მიმდინარე ცხოვრება განაპირობებს. აქედან გამომდინარე, ერთიგა და მეორეც, დალხინებულზე მეტად, გაჭირვებულ ადამიანს უმძაფრდება. ასე რომ, არაფერია გასაკვირი, ერთდროულად მომავლის შიშიც მქონდეს და უკეთესის მოლოდინიც. მოკლედ რომ ვთქვა, ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ კი გადაგვხდა თავს, მაგრამ ჩემთვის თითქმის არაფერი შეცვლილა: იმავე აზრისა ვარ, რა აზრისაც ვიყავი. სხვათაშორის, ალბათ გახსოვთ, არც მაშინ არსებობდა რაიმე მყარი საფუძველი პოზიციისა და აზრის შესაცვლელად. უბრალოდ, იმდენად ძნელი წარმოსადგენია ჩვენთვის არსებულზე უარესი, ნებისმიერ მოსალოდნელ ან უკვე მომხდარ ცვლილებაში მაინცდამაინც უკეთესის დანახვას ვედილობთ, თუმცა, ადრეც ვთქვი და ახლაც ვიმეორებ, ჩვენი ბიოგრაფიის ხალხს გაცილებით მეტი სიფხიზლე და წინდახედულობა მართებს. ვხვდები რა თქვენი შეკითხვის პროვოკაციულობას, გულწრფელად ვაღიარებ, რომ უამრავი და უამრავი ჩვენი თანამემამულის მსგავსად, ვერც მე გამოვიჩინე საჭირო სიფხიზლე. იმდენად ვიყავი აღტაცებული დავითის ხუთჯვრიანი დროში, ფალიაშვილის მუსიკაზე შემქნილი ჰიმნითა თუ ბაგრატიონთა აღდგენილი გერბით, რომ იტყვიან, ცა ქუდად არ მიმაჩნდა, დედამიწა - ქალამნად. მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ხანმოკლე აღმოჩნდა ჩემი სიხარული. ჯერ საგანგებო კომისიისგან შერჩეული გერბის ნაცვლად, მისი იმიტაცია შეგვრჩა ხელში. ყალფზე შემდგარი ლომები და სამეფო გვირგვინი ნებისმიერ სხვა ქვეყნის გერბზეც შეიძლება გამოისახოს, ხოლო, ოქროს საწმისის, დავითის შურდულისა და ქრისტეს კვართის გამოსახვა მხოლოდ ჩვენ შეგვეძლო ჩვენს სახელმწიფო გერბზე. «ფოცხალურ წარსულის ამსახველი» სიმბოლიკა, რაც ჩვენს ზოგიერთ ოპონენტს ჩამორჩენილობად მიაჩნია, პატივისცემის გრძნობას თუ არა, ინტერესს აუცილებლად



გაუჩენდა სხვა ხალხებს ჩვენ მიმართ. ჰერალდიკის ენა მეტად შთამბეჭდავია და მდიდარი, თუკი გესმის და იცი მისი დანიშნულება. ასე რომ, ხანმოკლე სიხარულს უკვე ლამის ცხოვრების წესად ქცეული გაურკვეველობა და დაძაბულობა მოჰყვა ისევ, გერბის გაუბრალოებას კი - მწელად წარმოსადგენი და კიდევ უფრო ძნელად ასახსნელი შეცდომების მთელი ნაკადი, რაც მთავარია, თითქოს შეგნებულად ჩადენილი ჩვენი სულიერი, ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური მდგომარეობის შესამოწმებლად, იმის დასადგენად, თუ რამდენად ადეკვატური იქნებოდა ჩვენი, როგორც ხალხის, რეაქცია ამა თუ იმ პოლიტიკურ თუ პოლიტიზებულ მოვლენასთან დაკავშირებით. მაგალითად, წინ აღუდგებოდით დავით აღმაშენებლის ძეგლის ხელყოფას, ეროვნული მწერლობის, მეცნიერების, სპორტის, საერთო კულტურის უგულველყოფას, «სამხრეთ ოსეთის», ამ უადრესად საბჭოური, კრემლში შეთითხნილი ცნების აღდგენას, სვანეთის აფხაზეთის გადაკეთებას ზემო აფხაზეთად, ახალი მიწების მიმატებას უკვე ისედაც დაკარგული ტერიტორიებისთვის, თუ ყურსაც არ შევიბერტყავდით (როგორც მოხდა კიდევ) და კვლავაც მხოლოდსოციალური პრობლემებისგამო, დროგამოშვებით, ავუმხედრდებოდით ხელისუფლებას, რაც მონობაში შემენილი ბედოვლათობის კიდევ ერთი გამოვლენაა და მეტი არაფერი. მოკლედ, ნოემბრის შემდეგ ბევრი რამ შეგვეშალა, მაგრამ (და ეს კიდევ უფრო შემამფოთებელია), ჩადენილი შეცდომების გამოსწორებას კი არ ვედილობთ, ახლებს ვამატებთ. ასე კი, ჩემი აზრით, იმ უბრალო მიზეზის გამო ვიქცევით. ჯერ ისიც რომ ვერ გავგირკვევია ვერც მწერლებს და ვერც თქვენ, ჟურნალისტებს, ეს შეცდომები მართლა შეცდომებია, ანუ მართლა ჩვენი უმწიფარობის, უვიცობისა და უწვრთნელობის შედეგია, თუ შეგნებული, წინასწარ დაგეგმილ-დამუშავებული პროექტის მეთოდური, თანამიმდევრული განხორციელება დროსა და სივრცეში. ყოველშემთხვევაში, ნამდვილად არსებობს ამგვარი ექვის საფუძველი, მით უფრო მწერლისთვის, რადგან მწერალმა თვითონაც არ იცის, რეალობა მისთვის

მთავარი, თუ წარმოდგენილი. სხვანაირად რომ ვთქვათ, მისთვის არაფერია წარმოდგენილი და, ამავე დროს, ყველაფერი დასაშვებია, რისი წარმოდგენაც შეიძლება. და მაინც, ამ ბოლო დროს, ბევრი ისეთი რამ მოხდა ჩვენში, რისი წარმოდგენაც კი დაუშვებლად მიმაჩნია, თუკი არ გავითვალისწინებთ ზემოთ უკვე ნახსენებ ბედოვლათობას. პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ვგულისხმობ დავით აღმაშენებლის ძეგლის გატანას ქალაქიდან, რამდენადაც, დავით აღმაშენებლის ძეგლი ყველა ნორმალური ქართველისთვის (და არაქართველისთვისაც), უპირველეს ყოვლისა, ქვეყნის ერთიანობისა და პოლიტიკური კურსის ვიზუალური განსახიერებაა, ყოველწამიერი შესხენებაა ყველა ჩვენგანისთვის ჩვენი მეობისა, ჩვენი ამქვეყნიური დანიშნულებისა. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ქართველმა ხალხმა ამჯერად ვერ გამოიჩინა მისთვის დამახასიათებელი გონიერება, ვერ აულო ალლო ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს და ერთეულ კიდევდაისაჯა, ჩვენში რომ ვთქვათ, სამართლიანად, რადგან არც უკითხავს, რა ხდება, რატომ ხდებაო, როცა მის დიდებულ მეფეს, უკანონოდ შემოპარულ მიგრანტივით, უბოდიშოდ აძევებდნენ საკუთარ სატახტო ქალაქიდან. ასევე არ შემფოთებულა, როცა პარლამენტმა ერთხელ უკვე მისგანვე გაუქმებული «სამხრეთ ოსეთი» აღადგინა, რაც პოლიტიკურ ენაზე უცხო სახელმწიფოს არსებობის აღიარებაა საქართველოს ისტორიულ ტერიტორიაზე. ასევე არ შემფოთებულა, როცა სვანეთის აფხაზეთს, სადაც ქართველის გარდა, არასოდეს უცხოვრია სხვა ეთნოსის წარმომადგენელს, ზემო აფხაზეთს არქმევდნენ, რაც იგივე «სამხრეთ ოსეთობას» ნიშნავს და იმათ სასარგებლოდ გადადგმული ნაბიჯია, ვისაც ამჟამად ეკუთვნის აფხაზეთი. ძნელი სათქმელია, რატომ მოხდა ასე. ხალხი, რომელსაც ეროვნული ღირსებისა და სიამაყის გრძობა უჩლუნგდება, ბიოლოგიურ სიცოცხლეს, მართალია, აგრძელებს, ითვრამკიარმრავლდება, სხვახალხებში ითქვიფება... საკუთარს კი არ ქმნის, სხვათა შექმნილს იმიერებს, ხოლო სხვა კულტურის მექანიკური გამეორება ერის თვითმკვლელობას ნიშნავს და, ბუნებრივია, აღარ არის საინტერესო დანარჩენი მსოფლიოსთვის. იმედი მაქვს, ჯერ კიდევ არ მივსულვართ აქამდე, მაგრამ შეიძლება მალე მივიდეთ,

თუკი არც ამჯერად მოვეგებით გონს, არც ამჯერად ამოვიღებთ ხმას, არც ამჯერად გამოვიღებთ ხელს, თუნდაც განათლებისა და კულტურის სამინისტროების მიერ გამოტანილი და ქვეყნისთვის აშკარად არასახარბიელო გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ. მე მგონი, მთლად დალაგებულად ვერ ვპასუხობ თქვენს შეკითხვას, მაგრამ, კაცმა რომ თქვას, განა უკეთესის მოლოდინი არ მაღაპარაკებს ამდენს?! დიახ, ერთხელ კიდევ ვადასტურებ, რომ მიუხედავად ყველაფრისა, მაინც შემერჩა უკეთესის მოლოდინი. ქართული ფერმენი იმდენად უნიკალურია, მისი გაქრობა, მხოლოდ და მხოლოდ, ვიდაცის ნება-სურვილით, ვინც არ უნდა იყოს ის ვიდაცა, რასაკვირველია, გარდა უფლისა, ყოვლად შეუძლებელია. ყოვლად დაუშვებელიც. ასე რომ არ მწამდეს, მაშინ ხომ არც ჩვენი დღევანდელი საუბარი შედეგობდა...

- ბევრი პრობლემა გვაქვს. ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რომ ამოგარჩევინოთ, რომელს დამისახელებთ?

- პრობლემა ნამდვილად ბევრი გვაქვს - ამას ვერც დავმაღავთ, ვერც მივაფუჩჩებთ - მაგრამ ჩვენთვის, ჯერჯერობით, მთავარი პრობლემა მაინც ფიზიკური გადარჩენაა. ვიდრე არსებობს (სამწუხაროდ, არსებობს) ჩვენი, როგორც ხალხის გაქრობის საფრთხე, ნებისმიერ სხვა პრობლემაზე მსჯელობა, მეტი რომ არ ვთქვათ, თავის მოტყუებაა, სიმართლისთვის თვალის არიდებაა, უფრო მეტიც, ბრძოლის ველიდან გაქცევაა და გაგრძობით კიდევ - არც ამის დამალვა დაგვაცრის ხეირს - სოკოებივით მრავლდება საზღვარგარეთ ქართული სათავისტომოები, რაც ჩვენისთანა მცირერიცხოვანი ხალხისთვის უაღრესად სახიფათო მოვლენაა. რასაკვირველია, უმიზეზოდ არავინ მიდის, მაგრამ მიზეზს, პრობლემისა არ იყოს, რაგამოლევს, თუკი საზოგადოებრივ მალა პირადულს დავაყენებთ, ანუ, ქვეყნის კი არა, თავის გადარჩენაზე ვიფიქრებთ მხოლოდ. ყველა მიზეზი საპატია შენიდან წასასვლელად, როცა შინ ყველა იმედი ამოწურულია. უფრო მეტიც, სიბრიყვე და სილაჩრეველად ერთგვარი ალიბის მნიშვნელობას იძენს და პასუხისმგებლობის გრძობიდან განთავისუფლებს თუნდაც მხოლოდ საკუთარ თვალში. «დალაგდება ქვეყანა და ჩამოვალ» - ამ პირობით ტოვებს უმრავლესობა აქაურობას, მაგრამ იმას კი აღარ ამბობენ, ვინ დაალაგებს აქაურობას

მათ მაგივრად. შეიძლება, ცოტას ვაზვიადებ, ზედმეტად მკაცრად ვლაპარაკობ საკუთარ სისხლსა და ხორცზე, მაგრამ როგორც გული მიგრძობს, წასულთა გარკვეულ ნაწილს სწორედ აქაურობა ადარდებს ყველაზე ნაკლებად, შეიძლება, აღარც დაბრუნდეს შინ, სამუდამოდაც გული სამშობლოზე, რომელმაც, თავის დროზე, ვერ დაიცვა, ვერ დააპურა, რადგან თავად აღმოჩნდა მშვიერი და დაუცველი. ამიტომ, თუკი ვინმეზეა გაბრაზებული, აქაურობაზე, «პატარა სამშობლოზე» და არა ზოგადად რუსეთის იმპერიასა თუ საბჭოთა კავშირზე, ეგრეთ წოდებულ «დიდ სამშობლოზე», სადაც არათუ პოლიტიკური, საყოფაცხოვრებო პრობლემებიც ნაკლებად ეხებოდა, უფრო ნათლად რომ ვთქვათ, სხვა ფიქრობდა მის მაგივრად, მას კი, ავად თუ კარგად, გარანტირებული ჰქონდა «პური და სანახაობა». მაგრამ როგორც კი განთავისუფლდა თავის «პატარა სამშობლოდან», იმას, ნამდვილასა და ერთადერთს არ მიხედა, ფეხზე კი არ წამოაყენა მონობით წამხდარი და დაუძლურებული, რაც წმიდათა წმიდამოვალეობაა ყველა ნორმალური ადამიანისა, არამედ გაებუტა, ზურგი შეაქცია, გაექცა და... გადარჩა, ოღონდ, იმით კი არა, იქ რომ მეტი იშოვა, ვიდრე აქ იშოვიდა, უბრალოდ, იმას დაყაბულდა იქ, რასაც აქ არავითარ შემთხვევაში არ დაყაბულდებოდა, თუნდაც, მონური პატივმოყვარეობისა და კულდაზიკობის გამო. «პერესტროიკის» მესვეურებს, რასაკვირველია, ესეც წინასწარ ჰქონდათ გათვალისწინებული, რაც, უპირველეს ყოვლისა, მათი იმპერიული შორსმჭვრეტელობის აშკარა დადასტურებაა და გამართლებაც - იდეოლოგიური საზარელი წნეხის მეშვეობით ცდილობდნენ ჩვენი ფსიქიკის შეცვლასა და გადაგვარებას. და, ეტყობა, გარკვეული თვალსაზრისით, მაინც შეძლეს, რადგან, უნდა ვაღიაროთ, ჯერ კიდევ ბევრ ჩვენთანს უჭირს საუკუნოვანი მონობის ტკბილად აქოთებული ლოგინის მიტოვება და დღემდე სჯერა ორი სამშობლოსი და ორი მშობლიური ენის არსებობის შესაძლებლობა. ასე რომ, როგორც არ უნდა გვეტკინოს გული, როგორც არ უნდა გვიჭირდეს ამის აღიარება, მიუხედავად ოფიციალური (ალბათ, უფრო ფიქტიური) განთავისუფლებისა, ჯერ კიდევ მონებად დავრჩით, თუნდაც, გააზიარებულ მონებად. გარკვეული შეზღუდვები თითქოს მოგვეხსნა, მაგრამ ჯერ არ ჩამოყალიბებულა

და არც შეიძლება ასე უცებ ჩამოყალიბებულიყო ჩვენში პიროვნება, რომელმაც იცის, როდის როგორ მოიქცეს, რა სჯობს, არა მარტო პირადად მისთვის, არამედ ქვეყნისთვისაც. აგვისტოს დღეებში - ალბათ თქვენც მიაქცეთ ყურადღება, როგორც ჟურნალისტმა - ერთ-ერთი ქართული დიასპორის წარმომადგენლებმა, ტელევიზიის მემშვეობით, შემოგვითვალეს, თუ საჭირო შეიქნა, ჩამოვალთო. მაღლობის მეტი რა გვეთქმის აქ დარჩენილებს, მაგრამ, ჩემი აზრით, თუკი საერთოდ საჭიროა ჩვენი ერთად ყოფნა, სწორედ დღესაა საჭირო. მე მეგონა, ეს ყველამ, წასულმაც და დარჩენილმაც, ერთნაირად ვიცოდით. დღეს ერთხელ კიდევ წყდება ჩვენი ქვეყნის ყოფნა-არყოფნის საკითხი, ისევე, როგორც გასული საუკუნის ოციან წლებში წყდებოდა, მაგრამ მაშინ იმდენ ხალხსაც ვერ მოვუყარეთ თავი, კრწანისში სანგრები რომ შეგვევსო. დღეს კი სანგრები არც გაგვიტოვრია, რადგან ჯერ ისიც ვერ გავარკვიეთ, სად უფრო საჭირონი ვართ, შინ (თუნდაც სანგრების შესავსებად), თუ უცხოეთში (თუნდაც უკეთესი ეკონომიური პირობების შესაქმნელად). მონა იმდენადაა მიჩვეული სხვების (პატრონის) მეთვალყურეობით ცხოვრებას, ძალაუნებურად უჩლუნგდება დამოუკიდებლად აზროვნების უნარი, რაც თავისთავად ანთავისუფლებს პასუხისმგებლობის გრძნობისგან. სამაგიეროდ, ზედმეტად უმძაფრდება აკრძალულის, მისთვის ხელმიუწვდენელის განცდისა და დაუფლების მოურეველი სურვილი და განთავისუფლებისთანავე, ამ სურვილის დაკმაყოფილებას ცდილობს, ნებისმიერი გზით და საშუალებით, რა გაუენობიერებლად, პირველ რიგში, სწორედ თავისუფლებას უპირისპირდება.

ციხე შიგნიდან ტყდებაო. ადამიანი შიგნიდან თავისუფლდება და საამისოდ აჯანყება, ომი და რევოლუცია საკმარისი არ არის. ეს გაცილებით რთული და ხანგრძლივი პროცესია. მართალია, ამ ეტაპზე, მიზეზთა სხვათა და სხვათა გამო, თავისუფლებისთვის აშკარად მოუშინადებლები აღმოჩნდით, მაგრამ გადარჩენა თუ გვინდა, ისევ ქართველებად თუ ვაპირებთ დარჩენას და მართლა ქართული სახელმწიფოს შექმნას ვცდილობთ, ეს პროცესი როგორმე ბოლომდე უნდა მივიყვანოთ. ეს ერთადერთი გადამრჩენელი გზაა უდაბნოდან აღთქმულ ქვეყანამდე. მხატვრულად რომ ვთქვათ, ჩვენ ჯერ

უდაბნოში დახვებითაა და ასე ვიხეტიალებთ იქამდე, ვიდრესულიან-ხორციანად არ განვიწმინდებით, არ გადავჩვევით მონურ აზროვნებას, არ მოვიმორებთ მონობაში შეძენილ თვისებებს, არ განვთავისუფლდებით ლეგენდებისგან, ცრუ რწმენებისგან, ცრუ კერპებისგან, ცრუ იმედებისგან და, როგორც არ უნდა გავიჭირდეს, თვალსარგავუსწორებთ სინამდვილეს, ყველგან და ყველაფერში არ მოვძებნით სიმართლეს... სიმართლე მწარეა, ოღონდ, წამლის სიმწარე აქვს და არა შხამისა. სიმართლე აგვიხელს თვალს, რათა დანახულმა ყველა ერთნაირად შევძრას, შეგვაწუხოს, შეგვამოფოთოს... ეს ყველას ერთნაირად გვეხება, მეც, თქვენც, ყველას, ვინც ჩვენს საუბარს წაიკითხავს, ან არ წაიკითხავს, სულერთია, საზოგადოების რომელ სფეროს განეკუთვნება, რა საქმიანობას მისდევს, ქალია თუ კაცია, მოზარდი თუ მოხუცი, რადგან რაც გვჭირს, ყველას ერთნაირად გვჭირს. და რაც გვჭირს, იმიტომ გვჭირს, ყველას ერთნაირად რომ გვჭირს მშობლიურ ენაზე ლაპარაკი - ამბის მოყოლა, აზრის გადმოცემა - ლექტორსაც და სტუდენტსაც, ექიმსაც და პაციენტსაც, ვექილსაც და ტუსადსაც, პოლიტიკოსსაც და ხელოვანსაც, პოლიციელსაც და ბოროტმოქმედსაც, სხვათა შორის, თქვენც, ჟურნალისტებს და, რაც ყველაზე სახიფათოა, გლეხსაც... «რა ენა წახდეს, ერიც დაეცესო» - გვაფრთხილებდნენ ჭეშმარიტი გულშემატკივრები და აჰა, წახდით და დავეციო! ამის ბრალია, უვიცობის, უგემოვნობის, უხეივობის დღემდე არნახული აღზევება. ამის ბრალია, სუროგატის მომრავლება კულტურის ნებისმიერ სფეროში. ამის ბრალია შინააშლილობა, გაუთავებელი დაპირისპირებები, ანგარიშსწორება, ღირსიულთა დაკნინება და უღირსთა განდიდება. ამის ბრალია, საკუთარის უარყოფა და უცხოურის გაფეტქობა. ერთმა საკმაოდ ცნობილმა ქართველმა, უფრო სწორად, წარმოშობით ქართველმა ხელოვანმა, მცხეთის ჯვრის მონასტრის ფონზე (ადგილობრივი ტელევიზია ლაქიური მოკრძალებით აფიქსირებდა «ოქროს ფონდისთვის») მსოფლიოს მოქალაქის მორიგ ვოიაჟს ყოფილ სამშობლოში, თავის მცირეწლოვან შვილებს (რასაკვირველია, ტელე-მაყურებელთა გასაგონად), ქართული გულითადობითა თუ ამერიკული პრაგმატულობით უთხრა: თუ გინდათ, კარგი ამერიკელები გაიზარდეთ, ფესვები არ დაკარგოთ,

იცოდეთ, საიდან მოდიხართო. კეთილი და პატიოსანი. ღმერთმა ხელი მოუმართოთ. და საერთოდ, ვისი რა საქმეა, რას ურჩევს საკუთარ შვილებს მამა, ვინც არ უნდა იყოს ის, ცნობილი ხელოვანი თუ ჩვეულებრივი არარაობა. სამაგიეროდ, დიახაც რომ შემაფოთებელია ჩვენთვის, როცა მთელი ქართველი ხალხი უყურებს და უსმენს ყველაფერ ამას და არავის უჩნდება სურვილი, მორიდებულად მაინც უსაყვედუროს ტელევიზიას ამგვარი ანტიეროვნული გადაცემების სიმრავლე. ამგვარმა ტელეგადაცემებმა, თავიანთი «ობიექტურობითა» და «უშუალობით», ადვილი შესამღებელია, დათვრი სამსახური გაუწიონ ისედაც დაბნეულ ახალგაზრდას, გადაადგმევიან არასწორი ნაბიჯი, თუკი ჩვენი ტელეწამყვანები თუ ტელეკომენტატორები როგორმე არ მოერევიან მდაბიური მანამბლობის ჟინს და საკმაოდ იაფფასიანი ქათინაურებით კი არ იარშიყენენ ღია ეთერში სახელგანთქმულ ქართველ უცხოელთან, არამედ გარკვევით აუხსნიან, განუმარტავენ ტელემაყურებელს, რა უბედურია სინამდვილეში ჩვენი ყოფილი თანამემამულე, რამხელა ცოდვას სჩადის საკუთარი შვილების წინაშე, არაფერი რომ ვთქვათ მშობელ ხალხსა და სამშობლოზე. უბედურია, ჩვენ კი ბედნიერად გამოგვყავს. რატომ? გვემლება თუ უკვე ამდენსაც ვვლარ ვხვდებით? აი, ეს უნდა გავარკვიოთ მე და თქვენ, უპირველეს ყოვლისა, და მერე ვისაუბროთ სხვა მტკივნეულ პრობლემებზე, რომელთა არსებობაც ისევე გამართლებულია, როგორც ნებისმიერი ბუნებრივი თუ ცხოვრებისეული მოვლენისა. პირობას გაძლევთ, პრობლემები არ დაგველევა, ვიდრე ვიცოცხლებთ, ვიდრე ვიცხოვრებთ, ვიდრე გონი შეგვრჩება და, რაც მთავარია, ვიდრე ბრძოლის თავი და სურვილი გვექნება...

- ბატონო ოთარ, ცხადია, აგვისტოს ომის საშინელი დღეების შემდეგ უმძიმესი განცდა და გრძობა... საერთოდ თუ იცოდით, რომ მდგომარეობა ომამდემივიდობდა, როგორ ცხოვრობთ ახლა - ომის შემდგომ შენამარწუნებელ «მშვიდობიან» პერიოდში, როცა წინ საქართველოს ყელგამოღადრული და გულგამოღადრული რუკა გვიდევს?

- დიახ, ვიცოდი. ოღონდ, «მდგომარეობა კი არ მივიდა ომამდე», როგორც თქვენ ამბობთ, უბრალოდ, ერთხელ კიდევ გამოაშკარავდა, გამომქდავანდა, ყველასთვის თვალ-

ნათელი გახდა ეს გამოუცხადებელი მცოცავი ომი, შეიძლება, დაუდევრობის, წინდაუხედაობის, ანდა მოუთმენლობის გამო. შეიძლება, შეგნებულადაც. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა თავიდანვე ისე წარიმართა, უომრად ყოვლად წარმოდგენილია ჩვენი თანაარსებობა. განა გასული საუკუნის ჯერ ოციან და მერე ორმოცდაათიან წლებშიც «ომამდე არ მივიდა მდგომარეობა?!» საერთოდ, ეს ომი დიდი ხნის დაწყებულია და ღმერთმა იცის, როდის ან როგორ დამთავრდება. თქვენ შეიძლება არ მიაქციეთ ყურადღება, მაგრამ ამ მარადიული ომის აგვისტოს ეპიზოდამდე ერთხელ კიდევ გაისმა, ახლა უკვე რუსეთის სახელმწიფო დუმაში, «პერესტროიკის» დროს მოსკოვის ქუჩებსა და მოედნებზე «მოულოდნელად» გაჩენილი და ჩვენთვის მეტად ყურადსაღები, მრავლისმთქმელი მოწოდება: «გაუმარჯოს საქართველოს უქართველებო!» ქართველებს ყურადღება არ მიუქცევიათ ამ მოწოდებისთვის-მეთქი, ვერ ვიტყვი, მაგრამ მაშინ მათი რეაქცია აშკარად არაადეკვატური (დღეს ფრიად მიღებული გამოთქმა პოლიტიკოსებს შორის) აღმოჩნდა - არანახულად მოიმატა საქართველოდან რუსეთში გახიზნულთა რიცხვმა. თუმცა ადეკვატურობით არც ამჯერად გამოირჩეოდა ჩვენი რეაქცია. ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, ნამდვილად არ ვიყავით ომისთვის მზად, მაგრამ ბოლოს ისე გამოვიდა, თითქოს ხათრივერგავუტეხეთ საუკუნოვან მტერს და აყევით, ალბათ უკვე ძვალ-რბილში გამჯდარი, უკვე გენეტიკური შიშის გამოც. შიში შეიქმნა სიყვარულსა, სიყვარული კი ბრმაა. ამიტომ, შეცდომებზე ნულარ ვილაპარაკებთ, შეცდომის შესენება ბრალდების წაყენებასავითაა, რაც, ჩვენში რომ ვთქვათ, სითამამეზე მეტად, სითავებედ იქნებოდა ჩემი მხრიდან. მწერალი ბრალმდებელი არ არის და, რაც მთავარია, მის ნებისმიერ მოსაზრებას თვითუარყოფის, თვითგაბათილების უნარი გააჩნია, რაკი, მხოლოდ და მხოლოდ, წარმოსახვის, ეჭვის, განწყობის, სიტუაციის, ასოციაციის, სულაც ფანტაზიის ნაყოფია და არა მეცნიერული, თუნდაც კრიმინალური კვლევა-ძიებისა. მაგრამ საკუთარი მოსაზრების დამალვაც ისეთივე ბოროტება იქნებოდა მწერლისგან, როგორც დაუსაბუთებელი ბრალდების წაყენება ვინმესთვის. რასაკვირველია, არც რჩევა უნდა დაამადლო ვინმეს, მაგრამ თქვენ რომ მეკითხებით, როგორ ვიცხოვროთო, ნამდვილად ვერ ვიქნები კარგი მრჩეველი. ან რა უნდა გორჩიოთ, როცა მხოლოდ ის ვიცი, ასე ცხოვრება რომ არ შეიძლება. ასევე არ შეიძლება, გავიზიაროთ ის რჩევები, ბოლო დროს რომ გვთავაზობენ ტელეეკრანებიდან, რაც ჩვენი ეროვნული შეგნების დაქვეითებისა და დასუსტების, ანუ ჩვენი, როგორც კულტურული ხალხის პოლიტიკური სიკვდილის მომასწავებელია უფრო, ვიდრე ჩვენი სიჭკვიანისა და სამართლიანობისა. პუშკინისა და ტოლსტოის ქუჩებს კი არ უნდა გადავარქვათ სახელი, რის შემდეგაც კულტურული ხალხი უმაღლეს უკულტურო ბრბოდ გადავიქცევით მთელი მსოფლიოს თვალში, არამედ ყველანაირად ვეცადოთ, რაც შეიძლება მალე მოვიშოროთ ჩვენს სულელებში საუკუნეთა მანძილზე ჩალექილი მონობის შლამი, დავიბრუნოთ ჭეშმარიტი სახე, ჭეშმარიტი ბუნება და აღვიდგინოთ ისტორიული მახსოვრობა. ჩვენი საკმაოდ ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე, ან თავისუფლების შესანარჩუნებლად, ან თავისუფლების კიდევ ერთხელ მოსაპოვებლად ვიბრძვით, ხოლო ისტორიული მახსოვრობის გარეშე, შეიძლება, საერთოდ ავიღოთ ბრძოლაზე ხელი, რაც იქნება სიკვდილი იქნება ჩვენითვის. ჩვენ ვიდრე ვიბრძვით, იქამდე ვართ ანგარიშგასაწევი ხალხი მტრისთვისაც და მოყვრისთვისაც. ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, როგორმე უნდა გავაცნობიეროთ, სამასწლოვან ომში რომ ვართ ჩათრეულნი და აგვისტოს ომი მხოლოდ ეპიზოდია ამ

ომისა. ომი, რომელსაც ჩვენ «ორდღიანი» დავარქვით, პეტრე პირველის დაწყებულია. ჩვენმა მწიგნობარმა მეფემ, ვახტანგ მეექვსემ, სიტყვაზე დაუჯერა პეტრეს, ერთად ავლაგმით სპარსეთით და ბოლოს მარტო აღმოჩნდა გააფთრებული სპარსული ლომის პირისპირ, რის გამოც არათუ სამშობლოში ცხოვრება, სამშობლოში დამარხვაც აღარ ედირსა. ასე რომ, ეს ომი დიდი ხნის დაწყებულია და, როგორც უკვე ვთქვით, ღმერთმა იცის, როდის ან როგორ დამთავრდება, რუსეთი შეიცვლის ზნეს თუ ჩვენ ავილაგმებით პირისაგან მიწისა. რაც აგვისტოში მოხდა, მხოლოდ ორდღიანი მონაკვეთია სამასწლიანი ომისა და ამით არც არაფერი დაწყებულა, არც არაფერი დამთავრებულა. საერთოდ, ერეკლედან მოყოლებული (ერეკლემ ორჯერ მიიღო ამ ომში მონაწილეობა, ერთხელ აწყურთან, მეორეჯერ კრწანისში), საქართველოს არცერთ ხელისუფლებას, ფიქტიურსაც და ფაქტიურსაც, არაფერი უცდია სიტუაციის შესაცვლელად. შეიძლება, შეგნებულადაც იქცეოდნენ ასე, უფრო სავალალო შედეგების შიშით. თუმცა, ჩვენთვის შედეგი ყოველთვის ერთნაირად სავალალოა, როგორც სხვადასხვა დროს სხვადასხვა ხელისუფლების მიერ დაშვებული ყველა შეცდომა. შეცდომებზე აღარ ვილაპარაკებ-მეთქი, წელან ვთქვი, მაგრამ კიდევ ერთს ვიტყვი მხოლოდ: გასული საუკუნის ოციან წლებში, ამჯერადც კრწანისში, მეთერთმეტე არმიის მორიგი იერიშის მოგერიების შემდეგ, მთავარსარდლობამ კატეგორიულად აუკრძალა ქართველ ჯარს კონტრიერიშიზე გადასვლა, როცა, სამხედრო ექსპერტების აზრით, ადვილი შესაძლებელია, საერთოდ საქართველოს სასარგებლოდ გადაეწყვიტა ომის ბედი ამ კონტრშეტევას.

აი, ასეთი უცნაური დამთხვევებითაა სასვე ჩვენი გაჭიანურებული ომი, თუკი მეტი გულისყურით გაეცნობით, როგორც უკვე ისტორიულს, ასევე ჯერ კიდევ «ცხელ» ფაქტებს. მაგრამ, კაცმა რომ თქვას, როდემდე შეიძლება, ომისა არ იყოს, ასე უსასრულოდ ვიმეოროთ ერთი და იგივე. თქვენს შეკითხვებზე რომ ვფიქრობდი, მეგონა, ვერაფერს ვიტყოდი საერთოდ, მით უფრო ახალს, რადგან ახალი არც არაფერი მომხდარა. ამიტომ გაცილებით აჯობებდა, თქვენთვისაც ის მეთქვა მხოლოდ, რის თქმასაც თავიდან ვაპირებდი. უფრო სწორად, რაც ერთხელ უკვე ვთქვი ამ ხუთი წლის წინ. დიახ, ხუთი წლის წინაც ისევე იწვოდა ჩემთვის ჩვენი სამშობლო, როგორც დღეს იწვის. დიდი ხანია იწვის. იწვის ჩვენს თვალწინ, ჩვენს ფეხქვეშ, ჩვენს გარშემო, ჩვენს სულში! ცოტაც და, კვამლით გავივლებით ყველანი, სამარცხვინოდ დავამთავრებთ, ღმერთმა იცის, ამდენ საუკუნოვან არსებობას. ღმერთსაც გავუწილებთ მოლოდინს და კაცსაც, რადგან ღმერთიც მეტს ელოდა ჩვენგან და კაციც. უფრო სწორად, არც ღმერთს დაუკლია ჩვენთვის ხელი და არც კაცს. მაგრამ, იმის ნაცვლად, კიდევ უფრო ჯიუტად, კიდევ უფრო მტკიცედ დავმდგარიყავით სამზეოზე, თანდათან რული მოგვერია და ისიც ვერ გავიგეთ, ვინ ან როდის შეგვიცვალა მხედრის ულუფა მონის სალაფავით... და აი, მას შემდეგ გვეწვის ფეხქვეშ სამშობლო. ჩვენ კი, მოურჩენელი სიბნელის ბინადარნი, ერთმანეთს ვუსისხლიანებთ თავ-პირს და ერთმანეთზე ვიყრით ჯავრს საერთო უმწეობისა და უმაქნისობის გამო. ანუ, შეგინებულ სიცოცხლეს ვებლაუჭებით მანინ, წყალობად ვუთვლით შემგინებელს და გახსენებაც აღარ გვინდა, სახელოვანი სიკვდილი რომ სჯობს ნამრახ სიცოცხლეს... აღარ გვჯერა, სამშობლოსათვის თავდადებული ვაჟკაცის საფლავიც რომ აუღებელი ციხესიმაგრეა მტრისთვის... არადა, თუ ჩვენს სამშობლოს მართლა დაღუპვა უწერია, გვერჩიოს გულზე გვეყაროს და არა ფეხქვეშ მისი ქვები... ერთი დღე

ნუ გვეცოცხლოს უსამშობლოდ! ეს არც წყევლაა და არც ლოცვა. გნებავთ, ლოცვაც ესაა და წყევლაც ერთსა და იმავე დროს, რადგან უსამშობლობა, ყველა უბედურებასთან ერთად, სამარცხვინოცაა და განსაკუთრებით დღეს, როცა ისიც კი იკოწიწებს სამშობლოს, თანაც სხვათა მიწების ხარჯზე, ვისაც არასოდეს ჰქონია, არც სახნისი სჭერია ხელში, არც სასხლავი და არც კალამი... ჩვენ კი, «მონობაში გადიდგაცებულთა» ამაზრზენმა სიხარბემ შვილივით ნაფერები ვაზი აგვაჩეხინა, ომებში გაბასრებული ხმალი ქარქაშში ჩავგიყანა, წიგნი გადაგვაგდებინა და უთვისტომო მანწინალეზად გვაქცია... ეტყობა, ჩვენმა «გაიძვერა მოყვარემ» უკვე მიადწია საწადელს: ის აღარა ვართ, ვინც უნდა ვიყოთ, ვინც ჯერ კიდევ გუშინ ვიყავით, როგორც შეგვქმნა თავიდანვე ღმერთმა თუ ბუნებამ... მაგრამ ის მაინც ხომ უნდა გავარკვიოთ, რა მოხდა, რა უბედურება ტრიალებს ჩვენს თავს, ვისი სისხლი გვიდგას, ბოლოს და ბოლოს, მარღვებში: «ვეფხისტყაოსნის» დამწერისა თუ ქართველთა შეთქმულების გამცემისა, სვეტიცხოვლის ამშენებლისა თუ ილიას მკვლელისა, მტრის რისხვისა თუ მტრის მსახურისა... და მაინც, დიდი უსამართლობა იქნება ღმერთისგანაც და კაცისგანაც ჩვენი გაწირვა, მხოლოდ იმიტომ, კვლავაც იქ რომ ვდგავართ, სადაც გაჩენის დღიდან ვმდგარვართ და სადაც უნდა ვიდგეთ უკანასკნელ ამოსუნთქვამდე. კვლავაც ის რომ გვწამს, რაც თვალისგახელისთანავე ვიწამეთ და დღესაც სანახევროდ თითქმის უკვე დამწვარ,

გულსაკლავად დამახინჯებულ-დაპატარავებულ სამშობლოს ამარა დარჩენილებსაც გვწამს: სამშობლო ერთადერთია და განუმეორებელი! მას ვერ გამოიგონებ, ვერც სურვილისამებრ აირჩევ - ღმერთის საჩუქარია - და ჩვენ მხოლოდ ის შეგვიძლია, გვევალევა კიდევ, გავუფრთხილდეთ, არ დავვარგოთ, რაკი სიცოცხლესთან ერთად გვეძლევა და სისხლივით, სულივით გადაეცემა ჩვენს შთამომავალს... ჩვენ ამირანის გამჩენი ხალხი ვართ და ჩვენი ხსნა მხოლოდ ბრძოლაა, ანუ, ჩვენთვის ყველაფერი ბრძოლაა: ლხინიც, გლოვაც... ყველაფერი, რითაც საკუთარ ვინაობას ადასტურებს და საკუთარ მეობას წარმოაჩენს ადამიანი. ჩვენც სამშობლოსთან ერთად ვიწვით ცოცხლად, მარადიულ ცეცხლში, მაგრამ ფერფლივით კი არ უნდა გავფანტოს ქარმა, არამედ ისევ მშობლიურ ცასა და მიწას უნდა მიგვამატოს ცად და მიწად. ამიტომ, როგორც არ უნდა გაგვიჭირდეს, ყოველთვის გვახსოვდეს - წინ მარადისობაა!

ესაუბრა
ლელა ჯიყაშვილი
„კვირის პალიტრა“

რ ს უ რ რ რ

ქართული მხედარეთმთავრები

აზონი და ფაჩნაფაზი

აზონი არის საქართველოს ისტორიის ტრაგიკული ფიგურა. იგი უმართებულად ატარებს უარყოფითი გმირის მძიმე მოსასხამს. ფარნაფაზიანთა დინასტიის აპოლოგეამ ჩამოაყალიბა უკიდურესად ტენდენციური შეხედულება, რომელიც უკომენტაროდ გადავიდა შუა საუკუნეების ქართულ საისტორიო მწერლობაში.

ლეონტი მროველის გადმოცემით, აზონი იყო უცხოელი, იგი ალექსანდრე მაკედონელმა დატოვა ქართლის გამგებლად. “დაიპყრა ალექსანდრემ ყოველი ქართლი... და დაუტევა ნათესავი ქართლოსიანნი, და დაუტევა მათ ზედა პატრიკად სახელით აზონ, ძე იარედოსისი, ნათესავი მისი ქუაყნით მაკედონით”. აზონი, როგორც უცხოელი, ეყრდნობოდა დამპყრობელი ალექსანდრეს მეომრებს. (მათი

რაოდენობა საოცრად გაზვიადებულია). “მოქცევაი ქართლისაო”-ს მიხედვით, აზონი იყო არიან-ქართლის მეფის ძე. მცხეთაში მისი შემოსვლა უკავშირდება ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობას. მემათიანეს სიტყვებით “და შემდგომად რაოდენისამე ჟამისა მოვიდა ალექსანდრე, მეფე ყოვლისა ქუეყანისაი, და დალექნა სამნი ესე ქალაქნი და ციხენი, და ჰონთა დასცა მახვილი”.

ქართული საისტორიო ტრადიცია სარგებლობდა ძველ სამყაროში გაბატონებული შეხედულებით, რომლის თანახმადაც, ელინისტური სახელმწიფოების წარმოქმნა დაკავშირებული იყო ალექსანდრე მაკედონელის სახელთან. დასაშვებია, რომ პირველი ანალების შექმნის ეპოქაში, განათლებულ ქართველ მწიგნობრებს, ბერძნულ

კულტურულ გარემოსთან უხედობლად ურთიერთობა და სახელმწიფოს წარმოქმნის ანალოგიური მოდელი საკუთარი ქვეყნის მიმართაც გამოიყენეს. თუ იმასაც გავეთვალისწინებთ, რომ დიადოხოსები ალექსანდრეს სახელით აწარმოებდნენ დაპყრობით ომებს, მაშინ ვარაუდის დაშვებაც არ არის საჭირო. მათიანეებში ასახვა ჰპოვა რეალურმა მოვლენამ. ამდენად, სულაც არ არის მოულოდნელი, ქართული სახელმწიფოს სათავეში აღმოჩნდა მსოფლიოს დამპყრობელი, ”უსწორო დიდი ხელმწიფე”, რომელმაც “დაეპყრნეს ყოველნი კიდენი ქუეყანისანი”.

გაერცვლებული ვერსია, თითქოს აზონი მცხეთაში ალექსანდრე მაკედონელს შემოჰყვა, მცდარია, მაგრამ დიადოხოსების ხანაში მისი აქ დამკვიდრება რეალობად უნდა ჩაითვალოს.

აზონის მცხეთაში გამეფების ხანად უნდა მივიჩნიოთ იპსოსთან გამართული ბრძოლის შემდგომი პერიოდი, როდესაც ანტიგონეს სამფლობელოების დიდი ნაწილი გადავიდა ლიზიმახეს ხელში. ზუსტი თარიღის დასახელება შეუძლებელია, თუმცა ეს უნდა მომხდარიყო იპსოსა და კურუპედიონის ბრძოლებს შორის (ძველი წელთაღრიცხვის 301-281 წლებში).

ისიც დასაშვებია, რომ ლაშქრობის ინიციატორად აზონი ვიგულისხმოთ, რადგან ლიზიმახესთან დადებული შეთანხმება მას საბრძანებლის გაფართოებას ჰპირდებოდა.

“მოქცევაი ქართლისაი”-ს თანახმად, აზონის ეროვნულ კუთვნილებას, განმარტება არ სჭირდება. იგი არის არიან-ქართლის მეფის ძე. არიან-ქართლის ეროვნული კუთვნილება მისთვის ცნობილი ფაქტია. აზონის სადაურობა სადავო გახდა ლეონტი მროველმა,

მაგრამ თვითონვე უარყო თავისი ვერსია, როცა დაწერა “წარვიდა აზონ და მივიდა კლარჯეთს, და გამაგრდა იგი სიმაგრესა შინა კლარჯეთისასა”, და უნებლიედ აღიარა სად იყო აზონის მშობლიური კუთხე.

ლეონტი მროველმა აზონი დამპყრობლად გამოაცხადა. აზონი მართლაც დამპყრობელი იყო ცალკეულ მამასახლისთა სამფლობელოების მიმართ, მაგრამ ამას მოითხოვდა ქვეყნის საერთო ინტერესები.

“მოქცევაი ქართლისაი”-ს ავტორის ყურადღებას იმსახურებენ ის წარმართი მეფეები, რომლებმაც ცალკეულ კერპთა თაყვანისცემა დააწესეს. ამ მხრივ, აზონის დამსახურება ყველას აღემატება. მის სახელთან დაკავშირებულია ორი კერპის აღმართვა “და თანა-ჰყვანდეს კერპნი ღმერთად – გაცი და გაიმ”. “მოქცევაი ქართლისაი”-ს გადმოცემას ადასტურებს “ქართლის ცხოვრება”: “ამან აზონ დაუტევა სჯული ალექსანდრეს მოცემული, იყო კერპთმსახურებად, და შექმნა ორნი კერპნი ვერცხლისანი: გაცი და გაიმ”.

აზონს უნდა დაეძლია ერთიანი ხელისუფლების ძირითადი შემაფერხებელი, მამასახლისთა თანასწორობა. ამოცანის გადაწყვეტა შეუძლებელი იყო, თუ დარჩებოდა მამასახლისთადამოუკიდებლობის დასაყრდენი “სატახტოების” ციხე-სიმაგრენი.

ლეონტი მროველი, მთლიანობაში ტენდენციურობის მიუხედავად, თხრობის ამ მონაკვეთში არ ავლენს უკმაყოფილებას. პირიქით, იგი ყოველგვარი შენიშვნისა და საყვედურისგარეშე აღნიშნავს, რომ აზონმა თავის ნებას დაუმორჩილა ქართლის საზღვრები ჰერეთიდან სპერის ზღვამდე. მემპტიანე წერს: “ხოლო ამან აზონ მოარღვივნა

ზღუდენი ქალაქსა მცხეთასა საფუძვლითურთ, და დაუტევნა ოთხნი იგი ციხენი, რომელნი მოსდგმიდეს პირსა ქართლისასა: თავადი ციხე, რომელ არს არმაზი. და ერთი ციხე დასასრულსა არმაზისა ცხვირისასა. და ერთი თავსა ზედა მცხეთისასა. მეოთხე ციხე, დასავლეთით, მცხეთა მტკუარსა ზედა. და ესენი მომტკიცნა. და განავსნა იგინი ლაშქრითა. და ყოველთა ქართლისა ქალაქთა მოარღვივნა ზღუდენი და დაიპყრა ყოველნი საზღვარნი მდინართგან ვიდრე ზღუდმდე სპერისა. და დაიპყრა ქართლსა ზედა ვერისიცა”.

ერთიანობის ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბებას აზონმა გარკვეულ წილად შექმნა კიდევ ქართველთა სახელმწიფო. ნ. ბერძენიშვილის აზრით, ფარნავაზი აზონის შექმნილ სახელმწიფოს ეუფლება, რეფორმატორობს და არა სახელმწიფოს ქმნის. იგი დასძენს: “იმისათვის, რომ ფარნავაზის სახელმწიფო მშენებლობა რეალურად წარმოვიდგინოთ, უნდა დავუშვათ, რომ ქართლი როგორც ქვეყანა, ორგანიზებული იყო, რომ ეს ხევე თავისი ხელისუფლებით უკვე უნდა არსებულიყვნენ, ისე რომ სახელმწიფო ჯერ კიდევ არ არსებულიყო.”

ლეონტი მროველი აზონის მიერ “რომაელთა” მიმართ მესისხლეობის გამოვლენის ჩვენებით ამთავრებს მისი მოღვაწეობის აქტიურ პერიოდს. მომდევნო თხრობა ფარნავაზის ცხოვრებისა და შეთქმულების მზადების ამბებს შეეხება. ლეონტი მროველი არ ასახელებს, მაგრამ მისი მსჯელობიდან კარგად ჩანს, რომ შეთქმულების იდეა უშუალოდ აზონის გარემოცვაში ჩაისახა.

შეთქმულებას სათავეში ჩაუდგა მცხეთის მამასახლისის, ბრძოლის ველზე დაღუპული სამარას ძმისწული – ფარნავაზი. “ქართლის ცხოვრებამ” ერთი-

ნი საქართველოს პირველ გვირგვინოსნად ფარნავაზი დააკანონა.

ფარნავაზი იყო მამით ქართველი, ქართლოსის შთამომავალი და მცხეთის მამასახლისის – სამარას ძმიშვილი, ხოლო დედით სპარსი. ლეონტი მროველის მიხედვით, ფარნავაზის მამა და ბიძა, მცხეთის მამასახლისი, ალექსანდრე მაკედონელმა მოაკვლევინა. დედამ პატარა ფარნავაზი უცხოეთში გახიზნა. რამდენი ხანი დაჰყო

ფარნავაზმა იქ, უცნობია, ვიციტ რომ მცხეთაში უკვე დაუბუკაცებელი დაბრუნდა. “ესე ფარნავაზი იყო კაცი გონიერი, მხედარი შემაერთებული და მონადირე ხელოვანი”. ამ ღირსების გამო, იგი დაიახლოვა აზონმა.

აზონთან სიახლოვე საფრთხეს უქმნიდა ფარნავაზს. მის მფარველად ამჯერადაც მისი დედა, ჭკვიანი სპარსელი ქალი გამოვიდა. მან ურჩია

ფარნავაზს მცხეთის დატოვება და სპარსეთში ბიძებთან წასვლა. ფარნავაზი დაეთანხმა, თუმცა როგორც ლეგენდა მოგვითხრობს, მან ნადირობისას დიდძალ განძს მიაგნო, რამაც სპარსეთში წასვლა გადააფიქრებინა და სხვა გეგმები დაუსახა.


ფარნავაზმა გადაწყვიტა აზონის დამხობა. ამისათვის მას სჭირდებოდა ძლიერი და საიმედო მოკავშირე. იმ დროისათვის ასეთი აღმოჩნდა ეგრისის მთავარი ქუჯი. ფარნავაზმა ქუჯის განძის პოვნა გაანდო და აზონის წინააღმდეგ ბრძოლა შესთავაზა. ქუჯი აღტაცებით შეხვდა ამ წინადადებას.

ქუჯის “მოქცევაი ქართლისაი” არ იცნობს, რადგან მისი ავტორის მიზანს სულ სხვა ამოცანა შეადგენდა.

ლეონტი მროველს ქუჯი დახატული ჰყავს ღვთაებრივი თვისებებით შემკულ მამულიშვილად. მისი გადმოცემით იგი არის ბრძენი, წინდახედული და რაც მთავარია, ქართველთა ერთიანობის აქტიური მოთავე და მქადაგებელი.

ფარნავაზისა და ქუჯის შეკავშირებამ საფუძველი ჩაუყარა ქართველური ტომების ერთ სხეულად შეკერვის იდეას.

ქუჯი იყო აზონის ბატონობით უკმაყოფილო



გავლენიანი მამასახლისი. ამიტომაც შეაჩერა მასზე არჩევანი ფარნავაზმა. პირველობას ქუჯი ფარნავაზს უთმობს და ამბობს: “შენ ხარ შვილი თავთა მათ ქართლისათა, და შენ გმართებს უფლება ჩემი”-ო.

მის წინააღმდეგ შეთქმულების შესახებ არაფერი იცოდა აზონმა. ფარნავაზმა და ქუჯიმ კი შეიერთეს ოსები და ლეკები და აზონის ჯარიდან ათასი რჩეული ხრომიც გადმოიბირეს. აზონმა ბრძოლა ვერ გაბედა, მცხეთა დატოვა და კლარჯეთში გადავიდა.

აზონი დახმარებას ელოდა პონტოს მეფე მითრიდატესაგან, თუმცა პონტოელების გართულებულმა ურთიერთობამ სელევკიდებთან, მას ეს იმედი მოუშალა.

ფარნავაზმა იცოდა აზონის მოლოდინი პონტოელების დახმარებისა და გადაწყვიტა ავტორიტეტული მოკავშირე შეეძინა, ასეთად მიიჩნია სელევკიდების აზიური იმპერია. ფარნავაზმა “წარავლინა მოციქულნი წინაშე მეფისა ანტიქოს ასურასტიანისა, და წარსცა ძღუენი დიდძალი. და აღუთქვა მას მსახურება, და ითხოვა მისგან შეწევნა ბერძენთა ზედა. ხოლო ანტიოქოს შეეწყნარა ძღუენი მისი და უწოდა შვილად

თვისად, და წარმოსცა გვირგვინი. და უბრძანა ერისთავთა სომხეთისათა, რათა შეეწოდებინათ ფარნავაზს”. ეს დიდი მიღწევა იყო ფარნავაზისათვის.

“ცხოვრება მეფეთა”-ს მიხედვით მეორე წელს აზონი საბერძნეთიდან მოსული დამხმარე ჯარით შეებრძოლა ფარნავაზს. ფარნავაზმაც მოიხმო ქუჯი და ოსები, ასევე დაიხმარა სომხები და “მიეგება ნაქალაქევსა თანა არტანისასა, რომელსა ერქუა

ქაჯთა ქალაქი”. გაიმართა დიდი ბრძოლა, რომელიც ფარნავაზის გამარჯვებით დასრულდა. აზონი ბრძოლაში დაიღუპა.

ფარნავაზი მივიდა პონტოს საზღვრამდე, იქიდან გამობრუნებულმა კლარჯეთი დაიმორჩილა და მცხეთაში დაბრუნდა. კლარჯეთის დაპყრობით დამთავრდა ქართველი ტომების გაერთიანება.

ფარნავაზის მეთაურობით ქვეყანას სათავეში ჩაუდგა ეროვნული ინტერესების გამომხატველი ხელისუფლება. მან გაატარა ეპოქისათვის დამახასიათებელი ცვლილებები, დაყო ქვეყანა რვა საქერისთაოდ: არგვეთის, კახეთის, ხუნანის, სამშვილდის, წუნდის, ოძრახის, კლარჯეთის და ერთ, ქართლის სასპასპეტოდ. ცნობილია მხო-

ლოდ ეგრისის ერისთავი ქუჯი, რომელმაც ააშენა ციხეგოჯი. სპასპეტის მაგისტრატურა მეფის მომდევნო საფეხურზე იდგა და ვვალეობდა ერისთავთა საქმიანობის გაკონტროლება. შიდა ქართლის სპასპეტი გახდა მეფის მოადგილე. ერისთავებს კი ქვეშევრდომებად ჰყავდათ სპასალარები და ათასისთავები.

ფარნავაზმა განახორციელა რელიგიური რეფორმაც. მან აღმართა კერპი და უწოდა სახელად არმაზი. “ცხოვრება მეფეთა”-ს მიხედვით სწორედ ასე იწოდებოდა ფარნავაზი სპარსულად.

ფარნავაზმა ქართული ენა სახელმწიფო ენად გამოაცხადა. ასევე მიეწერება ქართული დამწერლობის შექმნაც.

მან ჩაუყარა საფუძველი ქართული სახელმწიფოს დამოუკიდებელ არსებობას, ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, სამეფო ხელისუფლების გაძლიერების ნიშანი იყო. სახელმწიფოში გაბატონდა ერთი ენა და ერთი კულტი. რეფორმატორი მეფე დიდ ყურადღებას აქცევდა მშენებლობის საქმესაც. მისი ზეობის ხანაში ციხე-

ქალაქების დაარსება და განმტკიცება ჩვეულებრივი მოვლენა გახდა. მოწესრიგდა საზღვრების საკითხი. დაკანონდა მოსახლეობის წოდებრივი დაყოფა. “მწიგნობრობა ქართულის შექმნამ” გზა გაუხსნა კულტურულ სამყაროსთან კონტაქტის დამყარებას. ფარნავაზი გამეფდა ოცდაშვიდი წლისა და სამოცდახუთი წელი იმეფა. დაკრძალეს არმაზის კერპთან.

საისტორიო მუხსიერებამ უცნობი გზის სათავეში, ქრონოლოგიური თანამედროვეობის დაცვით, ასაკით უფროსი აზონი დააყენა.

აზონის მოღვაწეობამ მოამზადა ქართული სამყარო იმ დიდი ძვრებისათვის, რომლის შესრულებაც ისტორიამ ფარნავაზს დააკისრა.

მომზადებულია ტელეკომპანია “საქართველოს” პროექტ “მთავარსარდლის” ლიტერატურული სცენარის მიხედვით ავტორი ლევან უმიკაშვილი



სიკვდილი

მკვიდრთა სიკვდილს ქრისტესათვის

“უმიკვდილთა სიკვდილს ქრისტესათვის” – ეს საოცარი სიტყვები ვახტანგ გორგასალს ეკუთვნის. წმინდა მეფემ არ უანდერძა თავის ერს იყავით ქრისტეს ერთგულნი, არც ის, რომ თუ საჭირო იქნება, სიცოცხლეს ნუ დაიშურებთ მისთვის, მან მაქსიმუმ მოსთხოვა თანამემამულეებს ქრისტესათვის სიკვდილის ძიება. ეს არამართი ანდერძია ერისადმი, არამედ თავისებური წინასწარმეტყველება საქართველოს მომავალზე. ეს სიტყვები საქართველოს ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებიდან დაახლოებით საუკუნენახევრის შემდეგ წარმოითქვა. დიდი იყო სულიერება და სარწმუნოება მეფისა; ჯერ კიდევ 15 წლისამ საკუთარ ერს ასე მიმართა: განსაცდელსა და ჭირს ღმერთი მოუვლენს ხოლმე მეფეთაც და ერსაც მათი ცოდვების გამო. ჩვენ დავიმსახურეთ უფლის

ეს რისხვა: როცა მორწმუნენი ხელს იღებენ უფლის მსახურებაზე და ივიწყებენ მის მცნებებს, ღმერთი მათ განსაცდელს უვლენს გამოსაფხიზლებლად. მაღლობა ვუთხრათ უფალს ამისათვის. მივენდოთ უფალს, შევთხოვოთ შემწეობა და არ გაგვწირავს იგი. ვახტანგ მეფის მთელი ცხოვრება ამ სიტყვების დადასტურება იყო. ბრძოლის წინ ლოცვაში გაატარებდა თურმე ღამეს მერე კი ღამქარს შემოუძახებდა: “მხნე იყვენით და განძლიერდით, რამეთუ ღმერთი კერძო არს“. აღსანიშნავია, რომ ვახტანგ გორგასალმა გაათავისუფლა ქართული ეკლესია გარემო დამოკიდებლობისაგან, მისი ძალისხმევით მიენიჭა ეკლესიას ავტოკეფალია და დადგენილ იქნა პირველი კათოლიკოსი პეტრე, შემდეგ კი სამოელი. სიკვდილის წინ კი ასე დაიბარა: „მე ესე-რა წარვალ წინაშე ღმრთისა ჩემისა და ვმადლობ სახელსა მისსა,

რამეთუ არა დამაკლო გამორჩეულთა წმინდათა მისთა“. გამორჩეული ღვ ა წ ლ ი ს ა თ ვ ი ს საქართველოს ეკლესიამ ვახტანგ მეფე წმინდანად შერაცხა და მისი ხსენების დღე 13 დეკემბერს აღინიშნება. სწორედ ეს იყო მიზეზი მიუნხენში ს ა დ ლ ე ს ა ს წ ა უ ლ ო წირვისა, რომელიც აღასრულა წმ. ვახტანგ გორგასლის ეკლესიის წინამძღვარმა დეკანოზმა მამა თამაზმა (ლომიძე) დიუსელდორფის წმ. ანთიმოზ ივერიელის სახ. სამრევლოს მოძღვართან მ დ ვ ე ლ - მ ო ნ ა ზ ო ნ მამა ისესთან ერთად. ხალხმრავლობა იყო ეკლესიაში, მფარველი წმინდანის დღესასწაული განსაკუთრებული აღმოჩნდა იმისათვის, რომ მოეხიდა სტუმრები კიოლინიდან, ბონიდან



და შტუტგარტიდან. პატარა სტიქაროსნებს ყველაზე მეტად უხაროდათ მამაოების გვერდით ფუსფუსი და ცდილობდნენ არაფერი შეშლოდათ. ორი მოძღვრის მიერ აღსრულებული წირვიდან გადმოსულ მადლს უერთდებოდა მიუნხენის, შტუტგარტისა და დიუსელდორფის მგალობელთა მიერ შესრულებული საგალობლები. მამა თამაზმა ისაუბრა არა მარტო წმ. ვახტანგ გორგასლის ამაგზე, არამედ აღნიშნა ისიც, რომ ამავე დღეს იყო ხსენება წმ.



მოციქული ანდრია პირველწოდებულისა და შეახსენა მრევლს მისი მოღვაწეობის შესახებ. ანდრიას, პეტრე მოციქულის ძმას, უფალმა პირველს მოუწოდა თავისთან, ამიტომ ეწოდა პირველწოდებული. მან სიყრმიდანვე შეიყვარა უფალი და მისი უახლოესი მოწაფე გახდა. ანდრია მოციქული განუყრელად თან ახლდა ძეს ღვთისას. იგი მისი სასწაულების, სიკვდილისა და მკვდრეთით აღდგომის მოწმეც გახდა.

მაცხოვრის ამაღლების შემდეგ, წმინდა მოციქულს თვით ყოვლადწმინდა ღვთისმშობელმა გადასცა თავისი ხატი, რათა საქადაგებლად ივერთა ქვეყანაში წასულიყო. ანდრია პირველწოდებულმა სვიმონ კანანელთან ერთად საქართველოში ჩამოაბრძანა ღვთისმშობლის ხელთუქმელი ხატი. ეს იყო დიდი წყალობა ქართველთათვის, სწორედ აქედან მოდის მოციქულთა მიერ დაარსებული ეკლესია საქართველოში.

წირვის დასასრულს, მამა თამაზმა მიუნხენის სამრევლოს სახელით სტუმრად მყოფ დიუსელდორფის სამრევლოს საჩუქრად წმ. ნიკოლოზის ხატი გადასცა. ეს ხატი წლების განმავლობაში ჩვენი ეკლესიის საკურთხეველში იყო დაბრძანებული და მფარველობას გვიწვედა, ახლა თქვენი მფარველი

იყოსო ასე დალოცა ბოლოს. მღვდელმონაზონმა ისემ დიდი მადლობა გადაუხადა მიუნხენის სამრევლოს, მამა თამაზს და აღნიშნა, რომ მისთვის უდიდესი კედელი და საყრდენია უცხო ქვეყანაში ქართველი მოძღვრის და მრავალრიცხოვანი მრევლის არსებობა. დასასრულს გაიმართა ტრაპეზი ქართული, ტრადიციული და სტუმართმასპინძლობის ყველა წესის დაცვით.

ჩემი განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო მიუნხენში

დამკვიდრებულმა ლამაზმა ტრადიციამ რომლის მიხედვითაც, ყოველ კვირას მრევლის ერთ-ერთ წევრს ერთი კვირით გადაეცემა წმინდა მარიამ ღვთისმშობლის ხატი. შემდეგ კვირასიგომოაბრძანებს ხატს ეკლესიაში და მომდევნოს გადასცემს და ასე თითოეული მრევლის წევრს ეძლევა საშუალება დიდ სიწმინდესთან სიახლოვისა.

შეხვედრა მიუნხენში წმ. ვახტანგ გორგასლის ხსენების დღეს, ეს იყო შეხვედრა წარსულთან, წარსულის გმირებთან, აწმყოსთან ჩვენი დღევანდელი მოვალეობის შესახებ და მომავალთან, რამდენად გააზრებულია ჩვენი არსებობა. ეს იყო შეხვედრა უცხო ქვეყანაში მიმოფანტულ ქართველთა, ეს იყო ერთიანი ლოცვა, რომლისკენაც ხშირად მოგვიწოდებს მისი


უწმინდესობა საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია II. ეგებ ერთად აღვლენილმა ლოცვამ მეტი შედეგი გამოიღოს, ისმინოს ღმერთმა ქართველთა ლოცვის ძალა და მფარველი გვექნდეს.

ეკატერინე ცირიკაშვილი



კასული წლის ოქტომბერ-ნოემბერს ბერლინს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ილია II ეწვია. ბერლინში იგი იქ მცხოვრებ ქართველებს შეხვდა და მათთვის ქართული წირვა აღავლინა. აქვე მოხდა მამა თამაზის (ლომიძე) დეკანოზად კურთხევა.

კერძანის ქართული სათვისტომო ულოცავს მიუნხენის, შტუტგარტის, ფრანკფურტისა და ბერლინის ქართული სამრევლოების წინამძღვარს მამა თამაზს დეკანოზად კურთხევას.



FASTENZEIT IN DER ORTHODOXEN KIRCHE

Während die katholische Welt das Weihnachten und Neujahresfest feiert, sind die orthodoxen Christen mitten in der vorweihnachtlichen Fastenzeit. Dieser Umstand ist darauf zurückzuführen, dass heutzutage die zwei Kirchen zwei unterschiedliche Kalender zur Bestimmung ihrer Fest- und Fastentage verwenden.

Die Unstimmigkeit bei der Berechnung der Fest- und Fastentage ist auf die im Jahr 1582 vom Papst Gregor XIII. durchgeführte Kalenderreform zurückzuführen. Es wurde nämlich festgestellt, dass ein Umlauf der Erde um die Sonne etwa 674 Sekunden weniger dauerte, als ein julianisches Jahr

im Durchschnitt lang war. Formell gesehen blieb der julianische Kalender deshalb in 128 Jahren einen Tag hinter den Tagundnachtgleichen zurück. Durch die Reform folgte auf den 4. Oktober 1582 (julianisch) unmittelbar der 15. Oktober 1582 (gregorianisch). Der gregorianische Kalender ist heutzutage die meist verwendete Zeitrechnung sowohl für zivile als auch für (christliche) religiöse Zwecke.

Nicht alle Kirchen sind allerdings zu dem gregorianischen Kalender hinüber gegangen: während einige (z.B. Griechisch-Orthodoxe Kirche) simultan beide Kalender für die Berechnung der

Festtage benutzen – den gregorianischen für die feststehenden und den julianischen für die beweglichen Festtermine – sind die anderen gänzlich beim julianischen Kalender geblieben. Zur letzten Gruppe zählen vor allem die Kirchen von Georgien, Serbien, Bulgarien und Russland sowie die orthodoxe Kirche von Jerusalem und verschiedene Klöster in Griechenland.

Da sich auch in den Orthodox geprägten Ländern der gregorianische Kalender im Zivilbereich durchgesetzt hat, werden die Fest- und Fastentage erst einmal auf Grund der julianischen Kalender berechnet und anschließend auf den gregorianischen übertragen. Im Laufe eines Jahres gibt's ca. 190 Fastentage. Dies sind insbesondere vier große Fastenzeiten, eintägiges Fasten an besonderen Tagen sowie Mittwochs- und Freitagsfasten (zur Erinnerung an die Tage des Verrats und der Kreuzigung von Jesus Christus).

Für 2009 ergeben sich (nach dem gregorianischen Kalender) somit folgende Fastenzeiten:

- Die „Große Fastenzeit“ vor Ostern - 2. März bis 18. April,
- Die Apostel-Fastenzeit – 15. Juni bis 11. Juli,
- Das hl. Maria-Fasten – 14. August bis 27. August,
- Die Weihnachts-Fastenzeit – 28. November bis 6. Januar,
- Das Weißen des Wassers – 18. Januar (der Tag vor der Taufe Jesu),
- Enthauptung Johannes des Täuflers – 11. September,
- Die Kreuzerhöhung - 27. September (Die Wiederauffindung des Kreuzes Jesu),
- Außerdem soll an jedem Mittwoch und Freitag gefastet werden, außer in den Wochen direkt nach Ostern (20.-25. April) und Weihnachten (7.-17. Januar).

Alle Fastentage zusammen gerechnet macht die Fastenzeit mehr als ein halbes Jahr in jedem Kalenderjahr aus.

Grundsätzlich darf man während der Fastenzeit nichts zu sich nehmen, was vom Tier stammt. Dazu gehören Fleisch, Milch, Butter, Käse, Joghurt, Quark, Sahne, Eier usw. Außerdem verzichtet man auf Alkohol, Streit und übermäßigen Sex.

Essen darf man eigentlich alles, was kein Fleisch

und keine tierische Produkte beinhaltet: Gemüse, Obst, Kartoffeln, Bohnen, Fisch (begrenzt), Reis, Teigwaren (ohne Eizusatz), Salate (ohne Mayonnaise und Dressings, nur mit Essig und Öl), Hülsenfrüchte, alles gebraten nur im pflanzlichen Öl, oder Margarine, gekocht oder roh.

Das Fasten ist eine Angelegenheit der Einstellung. Man bereitet sich innerlich zur Fastenzeit vor. Das Fasten darf nicht zur Qual werden: es muss Freude bringen. Man geht in die Fastenzeit nicht mit Angst, Unbehagen oder Zweifeln, sondern mit innerer Ruhe, Freude und Überzeugung, dass alles gelingt und dass man nachher anders ist als vorher. Man fastet nicht um seinen Leib zu quälen, sondern sich sowohl körperlich, als auch geistig besser zu fühlen.

Das erste und wichtigste beim Fasten, ist, wie bereits erwähnt, die Stärkung des Geistes. Man erhält eine geistige und seelische Klarheit, fühlt in sich mehr Energie, kann mit den Familienmitgliedern und Menschen um sich herum besser umgehen. Man fühlt sich gestärkt. Nach der ersten Woche des Fastens verschwindet die erhöhte Reizbarkeit und gibt Platz einer gelassenen und selbstsicheren Ruhe. Der Körper fühlt sich leichter, beweglicher. Die inneren Organe (besonders die Verdauung) funktionieren besser, die Haut wird viel sauberer. Grundsätzlich empfiehlt die Religion, sich in der Fastenzeit dem Geschlechtsverkehr zu enthalten. Eine merkwürdige Eigenschaft des Fastens liegt darin, dass sich vieles, was wir als leibliche Triebe kennen, reduziert. Da man keine tierischen Produkte zu sich nimmt, wird der Körper viel weniger durch die Stoffe belastet, die unser „tierisches Verhalten“ stimulieren. Wenn man die erste Fastenwoche hinter sich hat, geht alles viel leichter.

Man darf nicht vergessen, dass Beten sowie die striktmögliche Enthaltung von den Sünden, nicht der Nahrungsverzicht, als wichtige Teile der Fastenübung gelten. Wenn man aus irgendwelchen Gründen nicht auf das Essen verzichten kann, dann isst man keine Süßigkeiten und entsagt Genussmitteln. Viele schränken alltägliche Gewohnheiten wie Fernsehen, Musikhören oder Computerspielen ein und meiden Kneipen- oder Diskobesuche.

Die Gläubigen werden in der Fastenzeit angehalten, das Gebet intensiver zu pflegen und vermehrt an

Gottesdiensten und Andachten teilzunehmen. Die bewusste Einschränkung soll vor allem eine Schulung des Geistes bewirken. Fastenzeit ist eine Zeit der Buße und der Umkehr. Daher sollte man möglichst oft die Beichte ablegen und zur Kommunion gehen.

Gegen Ende der Fastenzeit, das meistens auf die religiösen Feiertage zugeht, fängt man sich geistig auf die Umstellung vorzubereiten. Man ist stolz,

dass man die Fastenzeit fast hinter sich hat und etwas Gutes für die eigene körperliche und geistige Stärkung getan hat. Wenn man dann nach dem Fasten an der Festtafel in einen deftigen Braten beißt, entdeckt man den wahren Geschmack, der durch den tagtäglichen unaufhaltsamen Fleischverzehr bei vielen Menschen verstummt ist. Man fängt an, „unser tägliches Brot“ richtig zu schätzen.



გერმანია - მეგობრობის ქვეყანა

ყარნალ „ქართულის“ ფურცლებზე ვაგებდებოთ ახინძის, ზორჯოძისა და ახალციხის სკოლებში ჩატარებული კონკურსის მონაწილეთა საყუთესო თქმუბის ვამოქუყუნებ. კონკურსის სათაური ვახლდათ: „გერმანია - მეგობრუბის ქუყანა“.

(თქმუბი იბუჯლება უსვლულად)

Magradze Tamar

Deutschland - das Land der Freunde



Eigentlich ist „sich über etwas informieren“ der Wunsch jedes Erwachsenen. Ich gehöre auch dazu. Deutsch lerne ich von meiner Kindheit an. Einmal nach Deutschland zu fahren, seine Geschichte und Kultur kennen zu lernen, seine Gedenkstätten zu besuchen - das ist mein sehnlichster Wunsch. Darum lerne ich tüchtig Deutsch. Ich habe viele Möglichkeiten, die Menschen aus diesem Land kennen zu lernen. Ich lebe in Aspindza, in dem Dorf Nidshgori, das auf dem Wege nach Wardzia liegt.

Dorthin kommen hunderte von Touristen aus aller Welt, unter denen sind auch Deutsche. So dass ich eine gute Möglichkeit habe mit ihnen während ihres Aufenthaltes in unserem Dorf zu sprechen, auch wenn sie sich erfrischen oder tanken wollen. Manchmal tauschen wir auch unsere Adressen aus.

Anfangs war ich sehr angespannt, als ich mich mit Deutschen unterhielt. Ich beherrschte doch die deutsche Sprache noch nicht so gut. Nach und nach wurde es aber besser und ich war nicht mehr so nervös. Unser Haus in Nidshgori liegt dicht an der Straße. Eigentlich ist das die Hauptstrasse, die nach Wardsia führt. Neben dem Haus haben meine Eltern einen kleinen Laden, wo wir verschiedene Getränke, Süßigkeiten und auch viele notwendige Sachen verkaufen. So dass unser Laden auch eine wichtige „Haltestelle“ für die Touristen ist. Da machen Sie eine kleine Pause, um etwas zu kaufen. Oft fällt es ihnen schwer zu erklären, was sie kaufen möchten, weil sie georgisch nicht sprechen und auch meine Eltern kein Deutsch verstehen oder sprechen können.

In solchen Situationen werde ich oft eine wichtige Person, um zwischen Touristen aus Deutschland und meiner Familie sprachlich zu vermitteln. Ich übersetze beide Seiten. Um ehrlich zu sein, das ist für mich nicht leicht. Besonders schwer waren die Anfänge. Vor 3 Jahren habe ich das erste Mal mit Deutschen gesprochen. Es war sehr schwer, aber der Wunsch mit ihnen reden zu können war so groß, dass ich meine Angst überwunden habe. Ich schaffte es, das erste Gespräch mit einem Deutschen zu führen. An diesem Tag war ich überglücklich und meine Eltern waren sehr stolz auf mich. Ich fühlte mich wie ein Held. Von dieser Zeit an war ich überzeugt, dass ich vieles schaffe. Doch ich wusste, dass meine Deutschkenntnisse für die Schule und für solche „Gespräche“ noch nicht ausreichend waren. Deshalb begann ich Deutsch noch intensiver zu lernen und von dieser Zeit an führte ich gerne Gespräche mit den deutschen Touristen, die bei uns eine kleine Pause machten.

Mein großer Wunsch war, einen gleichaltrigen Deutschen kennen zu lernen. Endlich gelang es mir: Im vorigen Sommer, im Juli, habe ich ein Mädchen aus Dresden kennen gelernt. Schuld daran im positiven Sinne war natürlich unser Laden. Das Mädchen heißt Eva, sie ist 16 Jahre alt. Eva und ihr Bruder Stephan zusammen mit Ihren Eltern haben zwei Tage mit uns verbracht. Den Eltern hat es gefallen, besonders glücklich aber waren wir, die Kinder, einschließlich meiner Schwester Russudan.

Seit dem sind wir gute Freunde, per Internet unterhalten wir uns oft miteinander, wir schicken uns Fotos, auch Landschaftsbilder und Bilder aus unserem Alltagsleben.

Eva und Ihre Familie haben uns eingeladen, in diesem Sommer zu ihnen zu kommen. Ich weiß noch nicht, ob es dieses Jahr schon klappt, aber eines Tages werden wir es schaffen.

In der Zwischenzeit bin ich fleißig. Ich lese viel aus dem Leben berühmter Deutsche, ich lese die deutsche Presse und verschiedene Magazine. Ich bin fest davon überzeugt, dass ich einmal nach Deutschland fahren kann. Das garantiert mir unsere nette Bekanntschaft mit der deutschen Familie aus Dresden, mit denen wir so eine gute Zeit verbrachten. Ich bin froh, dass Deutschland wirklich ein Land der Freunde ist.

Melikidze Sofo

Deutschland – Land der Freunde



In meiner Kindheit habe ich oft von einem Land geträumt, mit schönen Straßen, vielstöckigen Gebäuden, mit eigenen Höfen, die gepflegte Gärten haben und wo fremde, berauschende Aromen sind. Wäre ich ein Schmetterling überflöge ich dieses fremde Land – und wachte auf. Ich wachte mit angenehmen Gefühlen auf und wünschte mir, dass dieser Traum einmal in Erfüllung gehen sollte.

So geht es mir noch immer. Selten, aber ich träume von diesem fremden Land und denke: Was geschieht dort? Ist das alles real oder nur meine Phantasie? Was machen dort die gleichaltrigen Kinder? Womit beschäftigen sie sich? Was lernen sie und so weiter. . .

In der Schule lerne ich deutsch und langsam wächst mein Interesse an Deutschland.

Dieses Land interessiert mich immer mehr und ich möchte wissen: Was für ein Leben führen die Jugendlichen und denken sie an uns?

Seit der Kindheit verfolgt mich die Geschichte der Bremer Stadtmusikanten. Sie symbolisieren in meinen Gedanken die Freundschaft. Zusammen haben sie die Feinde besiegt. Diese Märchenhelden haben die große Liebe der Menschen verdient und darum haben die Menschen ihnen ein Denkmal in Bremen aufgestellt.

Mit den Jahren wuchs das Interesse an Deutschland. Jetzt interessieren mich die Schriftsteller. Ich lerne Goethe und Schiller kennen. Sie sind berühmte Schriftsteller und man kennt sie in der ganzen Welt. Wenn ich sie lese, erkenne ich viel über die Deutschen. Ich weiß jetzt, dass Deutschland ein schönes, gut entwickeltes Land von Europa ist. Ich habe schon eine Vorstellung von Deutschland und möchte noch viel dazu lernen und noch mehr wissen.

Oft habe ich mich gefragt, was für eine Freundin bin ich. Manchmal meine ich, dass ich eine gute Freundin bin, da ich viele Freunde habe, die mit mir zufrieden scheinen.

Es wäre interessant zu wissen, was für Freundschaften deutsche Kinder haben.

Sie wissen noch nichts von uns, von einem kleinen Land, das sehr schön ist, eine wunderbare Natur hat, von unseren Menschen und ihren Traditionen, worauf wir sehr stolz sind.

Es wäre wünschenswert, wenn zwischen unseren und den deutschen Kindern viele Freundschaften entstehen würden. Wenn man einen Freund hat, fühlt man sich stark.

Auch ich strebe nach besseren Beziehungen und ich habe die Möglichkeit, dass meine eigene Stimme die fernen Freunde erreicht. Ich möchte ihnen mein Land vorstellen und selbst ihr Land persönlich und besser kennen lernen. Damit wird eine kleine Brücke zwischen zwei schönen Ländern gebaut und das wird der Anfang einer großen und ehrlichen Freundschaft.

ინფორმაცია

Au-Pair -ის პროგრამით ჩამოსულ ახალგაზრდებს, რომლებსაც აქვთ უპირობო მათი უზღვევა-მოვალეობების შესახებ, შეუქმლიათ დაუკავშირდნენ სათვითმოსთან არსებულ საინფორმაციო ჯგუფს უმჯობეს ნომერებზე:

0176 23346015 (პარმენი),
0176 22640247 (თინათინი),
0179 4998874 (ნინო)
ან ელექტრონული ფოსტით:

info@satvistomo.de

ის, რას მხოლოდ საქართველოში ხდება

...“ჩვენი თვითმფრინავი ეშვება თბილისის აეროპორტში“ – გვაუწყა ქალბატონის სასიამოვნო ხმა. „თბილისის დროით 3 საათი და 55 წუთია“. მშობლიურ ენაზე ნათარგმნმა ტექსტმა უმაღლეს გამოადვილა გერმანული ავიახაზების ჩაძინებული ქართველი მგზავრები. გამოიღვიძა ჩემს გვერდით მჯდომმა მამაკაცმა. გამცილებელს ჯერ არ დაესრულებინა ფრაზა – „გთხოვთ, ღვედებს თვითმფრინავის გაჩერებამდე ნუ შეიხსნით და ნუ ხართათ მობილურ ტელეფონებსო“, რომ ჩემმა მეზობელმა „ნოკიას“ ძვირადღირებული აპარატი ამოიღო, ჩართო და უმაღლეს აუწყა ნუგზარს საცაა დავეჯდებითო.

თვითმფრინავი ნელ-ნელა სიმაღლეს ამცირებდა, პატარა ფანჯრებიდან მოციმციმე ანძაც გამოჩნდა. სალონში ქოთქოთი ატყდა, ამერიკიდან 7 წლის შემდეგ საქართველოში ჩამომსვლელ გოგონებს ცრემლები წამოსცვივდათ, ფანჯარასთან მჯდომი ქერთიანი ქალბატონი წამოზრდილ, წითლად შეღებულ ფრჩხილებს უკაკუნებდა ფანჯრის მინას და თავისი პოლანდიელი სტუმრისათვის განათებული ნარიყალას ჩვენებას ცდილობდა. ის იყო, ევროპელმა მგზავრებმა პილოტისთვის განკუთვნილი მადლიერების ტაში შემოსცხეს (რითაც ქართველთა დაცინვა დაიმსახურეს), რომ ჩვენმა თვითმფრინავმა სიჩქარეს უმატა და დაშვების ნაცვლად ისევ ჰაერში აგვაქროლა.

„გესაუბრებათ თქვენი კაპიტანი. როგორც შენიშნეთ, ჩვენმა თვითმფრინავმა დაშვება შეწყვიტა. ამის მიზეზი გახლდათ ის, რომ თბილისის აეროპორტი არ იყო საკმარისად განათებული. ჩვენ ახლა ქალაქს ერთ წრეს შემოვუვლით, აეროპორტის მუშაკები კი ამასობაში დასაჯდომი ბილიკის სათანადოდ განათებას დაგვპირდნენ“.

- არა, ასეთი რამე მხოლოდ საქართველოში შეიძლება მოხდეს, წარმოგიდგენია კაცო! – დაიწყო წითელფრჩხილებიანმა ქალბატონმა და დანარჩენი მგზავრებიც სიამოვნებით ჩააბა დისკუსიაში, რომელიც ღრმად პოლიტიკურ თემებს შეეხო და როგორც მოსალოდნელი იყო, მთავრობის ლანძღვა-გინებით დაასრულა. ამ გაუგებრობაში აღმოჩენილ პოლანდიელს (რომელიც თვალების აქეთ-იქით ცეცებით „საჯარო“ კამათიდან აზრის გამოტანას ლამობდა) გაგება რომ შესძლებოდა, ალბათ, შეშურდებოდა კიდევ იმ ცოდნისა, პოლიტიკის დარგში რომ გააჩნდა თვითმფრინავის სალონში მჯდომ ყველა ქართველს.

...თბილისში თუნდებოდა. ჯერ ცარიელ ქუჩებში მეეზოვეები გამოჩნდნენ, ისეთები ჩემი ბავშვობიდან რომ მახსოვს. თბილ ქუროთუკებზე სტაფილოსფერი შემოსაცმელები წამოეცვათ. იმ ძველ მეეზოვეთაგან მათ, ალბათ, ეროვნება თუ განასხვავებდა და წარწერა ზურგზე „მე ვარ ჩემი ქალაქის მეეზოვე“. „თბილისი სისუფთავის ქალაქი უნდა გახდეს“ – ძალაუნებურად წარმოეთქვი ლოზუნგი, რომელიც 2006 წელს გიგი უგულავამ გააჟღერა. გამახსენდა ლექსებიც კოტე ყუბანეიშვილმა თავისი ქალაქის ნაგვის ყუთებს რომ მიუძღვნა: “სიბინძურის მკურნალს, ქალაქში ვდგამთ ურნას”, “მოდის ახალი თაობა, რომ მოსპოს უსუფთაობა” ანდა “რომ არ გაჩნდეს თავი, მე ჩემს ქალაქს დაგვი”... ის ენთუზიანშიც გამახსენდა ამ ლექსებმა რომ გამოიწვია ახალგაზრდებში, მაგრამ მალევე რომ გაიფლანგა ყოველდღიურობაში.



- ეს ერთადერთი დროა, როდესაც ქალაქში მანქანით გაივლი – დაიჩვილა ნახევრადმძინარე მძღოლმა. მომდევნო დღეებში კი ამაში თავადაც დაერწმუნდი, როდესაც დღის სხვადასხვა მონაკვეთში „საცობებში“ ვატარებდი მთელი წლის განმავლობაში საქართველოსათვის „ნაგროვებ“ დროს. პიკის საათი, რომელსაც სხვადასხვა ქალაქებიდან ვიცნობთ, რომელიც მოქალაქეთა სამსახურში წასვლისა და მათი უკან დაბრუნების საათებს ემთხვევა, თბილისში არ არსებობს. ისეთი შთაბეჭდილება გექმნება, თითქოს მანქანების რიცხვმა ქალაქის მოსახლეობის რიცხვს დიდი ხანია გადააჭარბა.

მანქანების გარდა, კიდევ ბანკების რაოდენობამ იმატა დედაქალაქში საგრძნობლად. მიჰყვები გამზირს, რომელზეც ფილიალს ფილიალზე ხსნის „საქართველოს ბანკი“, „ბანკი რესპუბლიკა“,



„TBC ბანკი“, „პროკრედიტ-ბანკი“, „ტაო-ბანკი“... და თვალები გიჭრელდება. გასაოცარია, მაგრამ ის თანხაც იმატებს არაპროპორციულად, მომსახურებისათვის რომ გახდებიან აღნიშნული დაწესებულება, თუმცა პროპორციულად იკლებს ამ უკანასკნელის ხარისხი. ყველას გეხსომებათ ის კმაყოფილების გრძობა, ქალაქში 90-იანი წლების დასაწყისში გახსნილ პირველ ბანკებში შესვლისას რომ გვეუფლებოდა. საგულდაგულოდ შერჩეული სასაიამონო გარეგნობის გოგონების ღიმილიანი კითხვა-პასუხი იმდენად გსიამოვნებდა, რომ ამ „კაპიტალისტური“ ღიმილის ნამდვილობა-სიალალეზე დაფიქრებასაც ზედმეტად მიიჩნევდი. სწორედ ეგ „დაყენებული“ ღიმილი იყო დღეს ბანკში შესულმა რომ ვინატრე, როდესაც ვერც მისალმებით, ვერც მაღლობის გადახდითა და ვერც დამშვიდობებით დავიმსახურე მოლარე-გოგონას ყურადღება. თუმცა, ალბათ, ეგეც თავისებური ნიჭია მოემსახურო კლიენტს ისე, რომ ერთი წუთითაც არ მოსწყვიტო თვალი მობილური ტელეფონის ეკრანს,



თითი კი მოკლე ტექსტური შეტყობინების აკრეფას. დედაქალაქში სოკოებივით იზრდება ახალი საცხოვრებელი სახლებიც. ბევრი იწერება ადგილობრივ პრესაში დაჟანგებული არმატურისა თუ უხარისხო ცემენტის გამოყენების შესახებ, რაც, როგორც ჩანს, არც მშენებელს აწუხებს, არც მყიდველს და არც ქალაქის მესვეურთ. ახლო-ახლო აშენებული მაღალსართულიანი შენობები, სხვას თუ ვერაფერს, ქართული ”მეზობლობის ინსტიტუტის” გაძლიერებას მაინც შეუწყობს ხელს. სულ მალე სახლიდან გაუსვლელად, ფანჯრიდან ერთი ხელის გამართვით შესაძლებელი იქნება მეზობლისათვის პურისა თუ მარილის გადაწოდება, ნარდის თამაში, წნევის გაზომვა და უბნის უახლესი ამბების გაცვლა-გამოცვლა.

- ხალხი როგორ არის, ხალხი? ომის კვალი თუ ემჩნევა თბილისს? - ჩაჰყვირა ტელეფონში გერმანიაში დარჩენილმა მეგობარმა.
- არ ვიცი, ალბათ, ცოტათი ეტყობა - ვუპასუხე და დაფიქრდი მომეყოლა თუ არა მისთვის ის, რომ წინა ღამით, შაბათ საღამოს, ჩემმა მეგობარმა დედაქალაქის ვერცერთ რესტორანში ვერ შეძლო დაეჯავშნა მაგიდა გერმანული დელეგაციის ათი წარმომადგენლისათვის, რადგანაც ყველაფერი გადაესებული იყო...

თბილისში თენდებოდა. გერმანიის ავიახაზების თვითმფრინავი აფრენას აგვიანებდა. ორასამდე ”ეკონომ-კლასის” მგზავრი ბრიუსელში მიმავალ ქართველ პარლამენტარს ელოდა, რომელიც, როგორც მისმა უხერხულობაში აღმოჩენილმა კოლეგამ აღნიშნა, ვერა და ვერ გადაეჩვია სიგარეტის მოწვევას.

- არა, წარმოგიდგენიათ კაცო, ასეთი რამ მხოლოდ საქართველოში თუ მოხდება! - ვიდაცამ ჩემთვის უკვე ნაცნობი თემა წამოიწყო. ვიდრე დისკუსია თავის ლოგიკურ ფინალს მიაღწევდა, ”ბიზნეს-კლასში” ბოლო მგზავრიც შემოაცილეს და სალონში ქალბატონის სასაიამონო ხმა გაისმა: ”გთხოვთ შეიკრათ ღვედები და გამორთოთ მობილური ტელეფონები”. მრგვალ ფანჯრებში ნელ-ნელა დაპატარავდა ქალაქი, რომელთან შეხვედრაც ყოველთვის ძალიან მახარებს და რომელშიც ყოველი წამოსვლისას ჩემი გულის ნაწილი რჩება. თვითფრინავში ამოსვლისას აღებული გერმანულენოვანი ყოველკვირეული გაზეთი ”DIE WELT” გადავშალე. მასში შევარდნაძის დროს ცნობილი ჟურნალისტი ქალბატონის ინტერვიუ აღმოვაჩინე. იგი მსოფლიოს იმ დოკუმენტური ფილმის ჩვენებას ჰპირდებოდა, სააკაშვილის დანაშაულს რომ ამტკიცებს რუსეთ-საქართველოს ომში. - ნუთუ

ეს ის არის, რისი მსოფლიოსათვის დამტკიცებაც დღეს ქართველის მიზანია? - გაიფიქრე და პასუხი ჩემს გვერდით მჯდომმა ხანში შესულმა ბავარიელმა შემომამხველა, რომელსაც გაზეთი იგივე გვერდზე გადაეშალა: “ქართველები ერთად უნდა იდგეთ ახლა, ასეთი პოლიტიკა არ გამოგადგებათ”. პასუხის

გაცემას ვაპირებდი, მაგრამ თვალბზე ცრემლები მომადგა და ველარაფერი ვთქვი. კაცმა მხოლოდ ზრდილობიანად გამიღიმა, ალბათ, ისიც მიხვდა, რომ ეს მხოლოდ საქართველოსთან განშორებით გამოწვეული ცრემლები არ იყო...

ნინო ხაბელაშვილი

ლუკრუი ფიროსმანის გამოფენისას, ნახატ «აკტრისა მარგარიტასთან» ყოველწლიურ მიღიოდა სანთიანული ქალი... ეს მოხუცი მარგარიტა და სევრი გასლდათ!

ამბობენ, ერთ დილას სასტუმროს წინ, სადაც მსახიობი მარგარიტა და სევრი იმყოფებოდა, ურმების გრძელი ქარავანი გამოჩნდა. ისინი უთვალავი ახლად მოჭრილი წითელი ვარდით იყო დატვირთული. უცნაურ მსვლელობას გვერდით ფიროსმანი მიჰყვებოდა – ნიკო ფიროსმანაშვილი, რომელსაც

სასტუმროში მისვლა შესძლო, გვიანდა იყო. მსახიობი იქ აღარ დაუხვდა. გასტროლები დასრულდა და მარგარიტა თბილისიდან გაემგზავრა. იმასაც ამბობენ, რომ 1969 წელს, როცა ლუკრუი ფიროსმანის 85 „პრიმიტიული“ შედეგები გამოფინეს, ნახატთან „აკტრისა მარგარიტა“ ყოველდღე

ჯერ კიდევ რამდენიმე საათის წინ თავისი პატარა დუქანი ჰქონდა. ახლა კი მთელი თავისი ქონების სანაცვლოდ „ყვაილების მთელი ზღვა“ ეყიდა...

1909 წლის მარტში ორთაჭალაში აფიშები გამოჩნდა: „ყურადღება, სიახლე! თეატრი „ბელ ვიუ“. მარგარიტა და სევრის მხოლოდ 7 გასტროლი თბილისში! შანსონების უბადლო შემსრულებელი, რომელიც ამავე დროს კეკ-უოკსაც შეუდარებლად ცეკვავს!“

როგორც ამბობენ, ნიკო ფიროსმანიშვილმა მარგარიტა სცენაზე იხილა თუ არა, თავი



მიდიოდა ხანში შესული ქალი და კარგა ხანს ჩერდებოდა. ბოლოს ვიღაც დამთვარიელებელმა მათ შორის მსგავსება შეამჩნია. დიახ, ეს დაბერებული მარგარიტა და სევრი გახლდათ!

იმასაც ამბობენ, რომ, სამწუხაროდ, ეს ყველაფერი ლეგენდაა, რომელსაც რეალობასთან საერთო არაფერი აქვს. ფიროსმანის შემოქმედების მკვლევართა აზრით, ფრანგი მსახიობი ქალის მიმართ მხატვრის გაუზიარებელი სიყვარულის ამბავი

ვერ შეიკავა და ხმამაღლა წამოიძახა: „სოცრებაა! ქალი კი არა, ნამდვილი მარგალიტაა!“ ამ ამბის გაგრძელება კი რამდენიმე ვარიანტადაა ცნობილი: მარგარიტამ სასტუმროს ოთახის ფანჯრიდან დაინახა ყვაილების უგრძესი ხალიჩა და ფიროსმანს გაოგნებულმა მიმართა: „შენ დუქანი იმიტომ გაყიდე, რომ ეს მშვენიერი ვარდები ჩემთვის მოგერთმია? ამას ჩემს ცხოვრებაში არ დავიფიწყებ, ჩემო რაინდო!“ ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ ვიღაც მდიდარ ჩინოვიკთან ერთად თბილისიდან გაემგზავრა. მეორე ვარიანტი ამ ლეგენდისა ასეთია:

როდესაც მსახიობ ქალს „მილიონი წითელი ვარდი“ გაუგზავნა, ნიკალა უკანასკნელი გროშებით დუქანში დასალევიდა წავიდა. გულაჩყვებულმა მარგარიტამ მას სხვისი ხელით ბარათი გაუგზავნა, რომელშიც მისვლას სთხოვდა.

ფიროსმანი იპოვეს, თუმცა უგონოდ მთვრალს ვერ გააგებინეს, მისგან რა უნდოდათ. ხოლო როცა მან

ლამაზი ზღაპარია და მეტი არაფერი. სინამდვილეში არც ქონება გაუყიდა ვინმეს, არც ვარდების ზღვა ყოფილა და უფრო მეტიც, ფიროსმანი მარგარიტა და სევრს პირადად არა თუ იცნობდა, ნანახიც არ ჰყავდა! სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ აღნიშნული პორტრეტი ნატურიდან კი არა, თეატრალური აფიშიდანაა დახატული.

ნიკო ფიროსმანაშვილის ცხოვრებაში სულ სხვა დრამა დატრიალდა. თუმცა, ერთი რამ ნამდვილად მართალია: ბედნიერი სიყვარული გენიალურ მხატვარს თუ უბრალო ნიკალას არასოდეს ღირსებია.

დაქორწინება ფიროსმანმა ერთხელ მოინდომა. ეს იყო შეძლებული ოჯახის ასული, რომელმაც დაობლებული პატარა ნიკალა, პრაქტიკულად, იშვილა. ელისაბედი დანიკო, შეიძლება ითქვას, ერთად გაიზარდნენ. შემდეგ ქალი გათხოვდა და ფიროსმანს ის მრავალი წლის განმავლობაში არ უნახავს. დაახლოებით ორმოცი

წლის ასაკში ელისაბედი დაქვრივდა და მშობლიურ სახლში დაბრუნდა. მათი შეხვედრაც აქ მოხდა. ელისაბედი შეცვლილი იყო, ძველი სილამაზე წლებს თუ დარდს წაეღო, მაგრამ ფიროსმანისათვის იგი მაინც შეუდარებელი გახლდათ! ნიკალამ ელისაბედს ცოლობა სთხოვა და... ამ წინადადებაზე ძალიან ზრდილობიანი უარი მიიღო. იმ წუთში ეს ჩაკეტილი ბუნების, უცნაური და თავისებური ნიკალასათვის ამქვეყნად ყველაფრის დასასრულს ნიშნავდა. „მე მისი და ამ ოჯახის ღირსი ვერასოდეს გავხდებო, - გადაწყვიტა ფიროსმანმა და პირად ბედნიერებაზე საბოლოოდ ჩაიქნია ხელი.

ძმის დაქორწინება ერთხელ ფიროსმანის დამ - ფეფუცამაც სცადა. მირზაანში ჩასულ ნიკალას დამ მეზობელ სოფელში საცოლვე მოუნახა და ფიროსმანი ქალის სანახავად, პრაქტიკულად, უკვე საკუთარ ქორწილში მივიდა. მეორე დღეს შეურაცხყოფილი და გაგიჟებული მხატვარი მირზაანში მართლ დაბრუნდა და ფეფუცას უთხრა: „ეგ რა ურჯულო ხალხია, საერთოდ ვინ არიან! წმინდა გიორგისათვის ბატკანი მინდოდა შემეწირა, მაგათ კი არ დამანებეს...

წამართვეს, შეჭამეს და დამცინეს კიდევ. დღესაც ჩემზე იცინოდნენ: შენ გიჟი ხარ, შემოილილი, ცოლი და ოჯახი რად გინდაო?! და შეეჭვდა - არაუინ იცის, ეს ამბავი რამდენად მართალი იყო, მაგრამ ძმის ხასიათი იცოდა და რაღას გააწყობდა! ნიკალას გადარწმუნება და მისი „გონზე მოყვანა“ ხომ შეუძლებელი იყო!


მართალი იყო ფიროსმანის დედობილი, ქალბატონი ეფროსინე (ელისაბედის დედა), როცა ამბობდა: „ვერ გამიგია, რა არის, ეს ბიჭი არავისა ჰგავს. სული ნატიფი აქვს და ჭკუა-გონება მახვილი, მაგრამ ძალზედ უცნაურია, სწავლა და მუშაობა არ უნდა, მაგრამ თითქოს არც ზარმაცია და უქნარა. არ უნდა ცხოვრებაში წინ წაიწიოს. თითქოს ამ ქვეყნისა არ არისო!“

ის კი... იქნებ მართლა არ იყო „ამ ქვეყნის“... იქნებ ამიტომაც გაქრა ასე უკვალოდ და დღეს მისი საფლავიც საძებარია. მის ცხოვრებაზე კი ის ლამაზი ზღაპრები, ლეგენდები და მისივე ნახატები მოგვითხრობენ, რომლებშიც მართლაც რომ სულ სხვა სულია...

და საერთოდ, რა იყო ფიროსმანის ცხოვრება, თუ არა მთლიანად სიყვარული, ის სიყვარული, რომლითაც ცოცხლობდა და რისთვისაც ცოცხლობდა?!

რა არის თითოეული ნახატი, თუ არა მემკვიდრე, შვილი და ძირი ამ დიდი სიყვარულისა, რომელსაც „უცნაური“ ნიკალა მთელი ცხოვრება გულით ატარებდა?

მის შემოქმედებას კი ისეთივე „უბრალო“ შეფასება მიეცა, როგორც თვითონ მხატვარი იყო: ეს იყო და არის გენიალური სიმარტივე.



ამბობენ, XX საუკუნის 30-იან წლებში, როდესაც თბილისის საოპერო თეატრში საპრემიერო თუ რიგით სპექტაკლზე დასასწრებად მისული ეს მშვენიერი ქალბატონი ჩნდებოდა, ირგვლივ განლაგებულ ლოჟებში, პარტერში თუ ქანდარაზე მსხდომი ყველა ასაკის, რანგის და გემოვნების მაყურებელი სპექტაკლს იფიწყებდა და მისი სილამაზით ტკბობას ამჯობინებდა.

ამბობენ, მასზე უიმედოდ ბევრი ყოფილა შეყვარებული, მაგრამ მხოლოდ ერთმა შეძლო მისი გულის მოპოვება... ეს იყო ინჟინერი ვლადიმერ ჯიქია.

ამბობენ, ბევრმა სცადა მისი მშვენიერების ლექსებით შემკობა, მაგრამ მხოლოდ ერთმა შეძლო იმ უკვდავი სტრიქონების შეთხზვა, თითქმის ყველა შეყვარებულმა ქართველმა რომ იცის...

ეს ქალბატონი თინათინ ჯიქიაა, ხოლო ამ არაჩვეულებრივი სტრიქონების ავტორი კონსტანტინე გამსახურდია...

**ზღვისფერი გაქვს თვალები და
თაყვანისმცემი ღმერთი,
თუ არ შეგებრალები და
მისთხოვდები სხვას,
მივატოვებ გაზაფხულზე
თესვასა და ზენას,
გადავლანაგ ადიდებულ
ჭოროხსა და მტკვარს,
ცეცხლს გაატან შენ სამყოფელს,
შენ სიყვარულს ქარს,
და მოგიკლაგ, მოლაღატვე
მაგ ნაფერებ ქმარს.
ზღვისფერი გაქვს თვალები
და თაყვანისმცემი ღმერთი...**

არის კიდევ ერთი შემადგენელი ნაწილი ამ მშვენიერი ბანოჯანის უკვდავყოფის ტრიადისა

– გამოჩენილი ქართველი ფერმწერის ქეთევან მაღალაშვილის მიერ შექმნილი ფერწერული პორტრეტი, რომელიც ქალბატონი თინათინის შვილების მარინა და ნანა ჯიქიების ოჯახშია დაცული.

თანამედროვეთაგან ცოტა ვინმე დაუტოვებია გულგრილი თინათინ ჯიქის ბუნებრივი, სინაზით სავსე ხატებას. იგი ხიბლავდა მშვენიერების მოყვარულებს ახალგაზრდობაშიდაც და მაშინაც, როდესაც წლებმა, განვლილმა რთულმა ცხოვრებამ თავისი კვალი დატოვა მის ღვთაებრივი მომხიბვლევლობით აღსავსე გარეგნობაზე...

მრავალი წლის წინ, ქალბატონი თინას ქალიშვილმა მარინა ჯიქიამ ტექნიკური უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში მოაწყო კონსტანტინე გამსახურდიასადმი მიძღვნილი ლიტერატურულ-მუსიკალური საღამო. მასზე მოხვედრა, ლაღო გუდიაშვილის ნახატით დამშვენებული მოსაწვევის მოპოვება ბევრს საოცნებო გაუხდა. საზოგადოება აღფრთოვანებით შეხვდა მსცოვან მწერალს. როდესაც სცენიდან გაისმა ცნობილი სტრიქონები „ზღვისფერი გაქვს თვალები და“... მთელი დარბაზი შეტრიალდა ბატონ კონსტანტინესკენ.

პირველად და უკანასკნელად ქალბატონი თინათინი 2001 წელს, სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე ვნახე – ამ დროისთვის იგი ოთხმოცს გადაცილებული იყო, მაგრამ ასეთი ღვთაებრივი სილამაზე იშვიათად თუ შემხვედრია ... დახვეწილი, თითქოს ნაქანდაკარი სახის ნაკვთები, სპილოსძეღისფერი, ან უფრო ზუსტად სადაფისფერი, თითქოს გამჭვირვალე სახის კანი, არაჩვეულებრივი ცოცხალი თვალები, ცოტა დამაბუნებელი, მაგრამ საოცრად ნაზი, ნატიფი ხელები.

სტუმრებთან გამოსასვლელად იგი ქალიშვილებმა მორთეს-მოკაზმეს. ეს იყო დაუვიწყარი სანახაობა.

დროის მსახვრალმა ხელმა ვერაფერი დააკლო მის მშვენიერებას – იჯდა სვარძელში ძველებურად ელეგანტური, დედოფლური ღირსებით აღსავსე და ამავე დროს სადა ქალბატონი და მოწყალედ რეაგირებდა მოსმენილ კომპლიმენტებზე. ბევრს ახსოვს ღრმად მოხუცი, მაგრამ კვლავ მშვენიერი მერი შარვაშიძე რევაზ თაბუკაშვილის დოკუმენტური ფილმიდან, ამბობენ ასეთივე მშვენიერები იყვნენ ახალგაზრდობაშიც და ხანდაზმულობაშიც მელიტა ჩოლოყაშვილი, სალომე ანდრონიკაშვილი, თამარ ციციშვილი - მეფური გარეგნობის ქალბატონები, პოეტთა და მხატვართა მუხები, რომელთაც XX საუკუნის კატაკლიზმებმა არგუნეს ომი, გაჭირვება, ემიგრაცია, აქ დარჩენილთა ნაწილს კი რეპრესიები და სტალინური ბანაკების სიმწარე და ყველაფრის

მიუხედავად, მათ შეძლეს შეენარჩუნებინათ სილამაზე, რომელიც ერის საგანძურის ერთ-ერთი შემაღვენილი ნაწილია.

თინათინ ჯიქიამაც, როგორც შემდგომში ხალხის მტრის მეუღლემ, გაიარა გზანი წამებისანი და სასწაულებრივად გადარჩა. განვლილი მძიმე ცხოვრების მიუხედავად, ის მაინც მშვენიერი იყო. ქეთევან მაღალაშვილმა იგი ომის შემდგომ 1946 წელს დახატა. არცთუ დიდი ხომის ფერწერული პორტრეტი სავსეა პოეტური განწყობითა და სევდით. ფონი სადაა.

მოდელი სამ მეოთხედშია გამოსახული, კაბის ყელზე ლურჯი ფერით შესანიშნავადაა გადმოცემული მისი ინდივიდუალობა. ამკარად ჩანს, რომ პორტრეტის შექმნისას მხატვარი ქალიც ერთგვარად ითვალისწინებდა პოეტის სტრიქონებს და სამოსისა თუ მორთულობის დეტალებში (ცისფერი კაბა, ლურჯი მძივების ასხმა) არჩევდა იმგვარ ტონებს, რომლებიც კიდევ უფრო გაუსვამდნენ ხაზს თვალების ცისფერ ფერს.

ქალბატონი თინათინი აღარ არის ამქვეყნად, მაგრამ დარჩა მოგონება მშვენიერ ქალბატონზე, ქეთევან მაღალაშვილისეული პორტრეტი, კონსტანტინე გამსახურდიას სტრიქონები და მისივე ავტოგრაფი – ჯიქიების ოჯახისთვის ნაჩუქარ წიგნზე „ზღვისფერი გაქვს თვალები და თავად გაგზარ ზღვას“...

შენი

გთავაზობთ გერმანიის ნებისმიერ სახელმწიფო სტრუქტურაში აღიარებულ დამოწმებულ თარგმანებს საკვლელო „ISO-Norm“-ის დაცვით ხანმოკლე ვადაში და შეღავათიან ფასებში.

მაკა ბაუერი, დიპლ.-გერმანისტი, სამგზის ნაფიცი მთარგმნელ-თარჯიმანი გერმანიაში მთავარი ბიურო: Industriestr. 23, 97437 Hassfurt

ტელ.: 09521/958459; მობ.: 0160/92223212;

Fax: 09521/1258

www.dolmetscher-georgisch.de

maka.bauer@gmx.de

ბიურო მიუნხენში: Thierschstr. 28, 80538

München

089/3234202; 0179/2559199

სხვადასხვა

იულონ გაგომიძემ გასული წლის მუშაობის შედეგები შეაჯამა

“ჯი-ეიჩ-ენი“. დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა იულონ გაგომიძემ გასული წლის მუშაობის შედეგები შეაჯამა.

იულონ გაგომიძის განცხადებით, გასული წელი სახელმწიფო მინისტრის აპარატისთვის საკმაოდ დატვირთული იყო.

“სახელმწიფო მინისტრის აპარატი აქტიურ მუშაობას 1-ლი აგვისტოდან შეუდგა, მაშინ როდესაც ქვეყანაში ფორსმაჟორული ვითარება იყო. ომის პერიოდში სხვადასხვა ქვეყანაში მყოფ ქართულ დიასპორებს შორის კომუნიკაციის თვალსაზრისით სერიოზულ როლს ვასრულებდით.

ჩვენი დიასპორა ანგარიშგასაწვევი, პოლიტიკური ძალაა, რომელსაც შეუძლია საქართველოს ინტერესებს მთელ მსოფლიოში სერიოზული ლობირება გაუწიოს. უცხოეთში მცხოვრებმა თანამემამულეებმა ეს, აგვისტოს მოვლენების დროს დაამტკიცეს”, - განაცხადა იულონ გაგომიძემ.

სახელმწიფო მინისტრმა აპარატის მომავალ გეგმებზეც ისაუბრა.

მისი თქმით, 2009 წელს არაერთი პროექტი იგეგმება, რომელიც ქართულ დიასპორას მნიშვნელოვნად დაეხმარება.

პარლამენტმა ცხრა ახალი ელჩი დაამტკიცა

“ინტერპრესნიუსი“ - 26 დეკემბერს პარლამენტმა ცხრა ახალი ელჩი დაამტკიცა. ჩინეთში საქართველოს სრულუფლებიანი ელჩი კარლო სიხარულიძე გახდა, რომელმაც ზაზა ბეგაშვილი შეცვალა. თურქეთის და ალბანეთის რესპუბლიკებში, ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ტარიელ ლებანიძე დამტკიცდა, საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციაში საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი გელა ჩარკვიანი გახდა, გაეროში საქართველოს მუდმივმოქმედი წარმომადგენელი - კახა ლომაია, სუამში საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი - მერაბ ანთაძე, აშშ-ში, კანადასა და მექსიკაში - ბათუ ქუთელია, დიდ ბრიტანეთსა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში და ირლანდიის რესპუბლიკაში - გიორგი ბადრიძე, საფრანგეთში, პორტუგალიასა და მონაკოს სამთავროში ელჩად და იუნესკოში მუდმივ წარმომადგენლად - მამუკა კულაბა, უკრაინაში კი გრიგოლ ქათამაძე იქნება.

საქართველო რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკისგან 45 მლნ ევროს ოდენობის სესხს მიიღებს

“ინტერპრესნიუსი“ - ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის მიზნით გერმანიის მთავრობა საქართველოს მთავრობას შესაძლებლობას აძლევს რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკისგან 45 მლნ ევროს ოდენობის სესხს მიიღოს.

ამ საკითხს ითვალისწინებს შეთანხმება “საქართველოს მთავრობასა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას შორის ფინანსური თანამშრომლობის შესახებ”, რომლის რატიფიცირებაც პარლამენტის 26 დეკემბრის რიგგარეშე სხდომაზე მოხდა.

გარდა ამისა, გერმანიის მხარე გამოუყოფს საქართველოს გრანტს 6 მლნ. ევროს ოდენობით, რაც მოხმარდება შემდეგ პროექტებს: 1 მლნ. ევრო — ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის განხორციელებისთვის საჭირო თანმდევ ღონისძიებებს. 4 მლნ. ევრო — პროექტ “ეკორეგიონალური პროგრამა - საქართველო, ფაზა მესამე” ყაზბეგის რეგიონში ბიოსფერული ნაკრძალის დაფუძნებას. 1 მლნ. ევრო — პროექტ “ეკორეგიონალური პროგრამა — კავკასია, ფაზა მესამე” ახალი ეკოლოგიური პროგრამების განვითარებას სამხრეთ კავკასიაში.

საფრანგეთი საქართველოს სესხის სახით 4 მლნ 690 ათას ევროს გამოუყოფს

“ინტერპრესნიუსი“ - თბილისის საერთაშორისო აეროპორტისა და საქართველოს სამოქალაქო საჰაერო ნავიგაციისთვის განკუთვნილი სისტემისა და მასთან დაკავშირებული მოწყობილობის, პირველადი და მეორადი რადარებისა და სხვა საჭირო აღჭურვილობის შესაძენად, საფრანგეთი საქართველოს სესხის სახით 4 მლნ 690 ათას ევროს გამოუყოფს.

აღნიშნულ საკითხს ითვალისწინებს “2008 წლის 24 ნოემბერს საფრანგეთის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის ხელმოწერილი ფინანსური პროტოკოლის განხორციელების მიზნით საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობის სახელით მოქმედ ნატიხის-სა და საქართველოს მთავრობის სახელით მოქმედ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შორის” სასესხო ხელშეკრულება, რომლის რატიფიცირებაც დღევანდელ რიგგარეშე სხდომაზე მოხდა.

სესხის ხანგრძლივობაა 18 წელი, აქედან 6 წელი შეღავათიანი პერიოდია. სესხის წლიური საპროცენტო განაკვეთია 1,1%.

ახალი წელი

ახალწლის საღებავს
წიბრული ვჭედავ,
ხნაულში ვაფრინავ
ციხვით ყვავილთ.
ახალ წელს ვილოცავ,
ყვითლო ღვდა
და შინ მოყვარულთ
ძვირფასო შაძილთ!
ახალ წელს ვულოცავ
ქოთმად ვაზებს,
ძღულოებს, სიძნჯანით,
სინათლით დაცხობილს,
მეზობლებს, მეგობრებს
თუ სახლიყაცებს,
ვინც არის ამ ზეცის
ამ მიწის წაცობნი.
მე ვლოცავ სახლებს,
ალაღად ნაეებს,-
ვინც ცოცხლობს სვალინდელ
მსძენით და იქლით.

თუ ანათესოდ ვინმეა ზადე,
და ჩვენს ვულს ჩასწვნი
ყხილაჲ სიძებით.
მე ვლოცავ ჭყდიდან
ვაფორნილ მუცხლებს,
ვინც დანავინყებლად
ჭყდეს ვეო იჭყებს,
ვინც სახლში ახალ წელს
მოსვლას ვეო შუძლებს,
ვინც თესვს სიყვით
ველებში მზის შუღვებს.
მე ვლოცავ სვალინდელ
სიძღულის ხალინს,
ღე. ქვეყნად შამსოდენ
მოყვანი ვეძებოთ,
წყოს პოდის მოეძლოდეთ
იქლი სვალის,
ძვირფასო შაძებო,
ყვითლო ღვდებო!

მელა ყახიძე

გერმანიის ჭართული სათვისტომოს ორჯანო
გამოიკება 2005 წლის ოქტომბრიდან

Das Organ des Georgischen Vereins in Deutschland e.V.
Herausgegeben seit Oktober 2005

დაფუძნება-გამოცემა:
გერმანიის ქართული სათვისტომო

სახედაქვო ყოღვია:
ნინო საბელაშვილი (მთ. რედაქტორი)
ნინო დალაქიშვილი
ნინო ცხომელიძე-დეპუერშიდტი
თინათინ ჩითინაშვილი (რედაქტორი)

გერმანიის გერმანიის
Georgischer Verein in
Deutschland e.V.
Leri Datashvili
Roemerhofweg 51c
85748 Garching b. München
დაგვიკავშირდით:
ტელ.: 0711/12 28 97 26
ელ. ფოსტა: qartuli@satvistomo.de

ჩვენი ზახუნოხის ამეხიყაში გამოცემადი ქართული გავხეთი „მამული“